საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 208-209 (229) შაბათი, 26 ოქტომბერი, 1991 წელი. ფასი 15 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

შიდა ქართლში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულის უფლებამოსილების შესახებ

შიდა ქართლში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს პოლკოვნიკ თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილს მისი რწმუნების პერიოდში დაემორჩილოს შიდა ქართლის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ძალები და ამ რეგიონის სამართალდამცავი ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 25 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გაგრძელების შესახებ

გაგრძელდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალში, ჯავის რაიონსა და დაბა ჯავის ტერიტორიაზე 1991 წლის 28 ოქტომბრიდან ერთი თვის ვადით.

კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00-დან 7.00 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 25 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„მუხლი-122“ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით —

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციას.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვისი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებას, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ათასი მანეთიდან ათი ათას მანეთამდე“.

2. 208-ე და 279-ე მუხლებში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვით „122-ე მუხლით“.
3. 209-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და მეორე ნაწილის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.
4. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლით“.
5. 295-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის თბილისის განსაკუთრებული დანიშნულების № 1 პოლკის გვარდიელთა

საყურადღებოდ:

თითოეული გვარდიელი ვალდებულია ყოველდღიურად გამოცხადდეს ყოფილი ცენტრალური კომიტეტის შენობის პირველი სართულის შესასვლელთან (ეზოს მხრიდან) პოლკის ხელმძღვანელობასთან — თბილისის მცხოვრებნი — დილის 9 საათიდან, ხოლო რაიონის მცხოვრებნი — 18 საათამდე.

განსაკუთრებული დანიშნულების პოლკის ხელმძღვანელობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

დამოუკიდებელი ყოველკვირეული გაზეთ „დრონი“-ს 36-ე ნომრის ფურცლებზე გამოქვეყნდა ბატონ თ. ქორიძის რეპორტაჟი, სადაც ბ-ნი გ. ლორთქიფანიძე მიტინგზე მოსულ თანამემამულეებს თავის გულისწყრომას უმხელს. მისი სიტყვით, ბატონი პრეზიდენტი უგულებელყოფს ოპერისა თუ თეატრის ხელოვანთა ღვაწლს, არ ესწრება რა მათ წარმოდგენებს სამაგიეროდ პატივი დასდო და ეწვია ნ. შარიას კონცერტს.

ხანგრძლივი ემიგრაციის შემდეგ საქართველოში ჩამოსულსა და საქველმოქმედო კონცერტის მომწყობს, ბ-ნ ნ. შარიას გ. ლორთქიფანიძემ „ნაძირალა“ უწოდა. ბ-ნ გ. ლორთქიფანიძეს ამ მხრივ წინამორბედი ჰყავს. ავადხსენებული „სუკი“-ც ბ-ნ ნ. შარიას ნაძირალას უწოდებდა.

თუ ბატონმა გ. ლორთქიფანიძემ ასეთი რამ მიტინგზე განაცხადა, ჯერ ბ-ნ თ. ქორიძეს ეს არ უნდა ექცია თავისი სტატიის სხაბასის საგნად და შემდეგ, გაზეთის რედაქტორს ბ-ნ ა. გოგელიას არ უნდა მიეცა დასტური ამგვარი განცხადებისათვის.

ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ვერ პოულობს დროს სახელმწიფოს მეთაური, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, დაესწროს ამა თუ იმ წარმოდგენას. როგორც ცნობილია, ბ-ნ ნ. შარიას მიერ გამართული კონცერტის მთელი შემოსავალი მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების ფონდში გადაირიცხა. მასზე დასწრებით კი პრეზიდენტმა უპირველეს ყოვლისა გამოხატა თანადგომა ამ რაიონების მოსახლეობისადმი. ამასთანავე გვინდა შევახსენოთ ბ-ნ გ. ლორთქიფანიძეს, რომ ეს კონცერტი ბატონმა ნ. შარიამ მიუძღვნა რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, და ამ უკანასკნელის მობრძანება, უბრალოდ ზრდილობისა და ეტიკეტის დაცვა იყო. ასეც რომ არ იყოს, ძნელი მისახვედრია, რატომ უნდა გახდეს პრეზიდენტის წასვლა-არწასვლა თეატრში ან ოპერაში ვინმეს განსჯის საგანი.

როგორც ჩანს, ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძის ცნობიერებაში სახელმწიფოს მეთაური გაიგივებულია პირველ მდივანთან, რომლის მობრძანებისათვის სპეციალურ კონცერტებს მართავდნენ და რომელთა მომზადებაშიც თავადაც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა.

რაც შეეხება ხსენებული პუბლიკაციის ავტორს, ბ-ნ თ. ქორიძეს, ყველა აუგის მთქმელი დემოკრატად მიუჩნევია, ხოლო გაზეთის რედაქტორს, ბ-ნ ა. გოგელიას, ვერ გაუგია, სად მთავრდება სიტყვის თავისუფლება და სად იწყება მისი ბოროტად გამოყენება. როგორც ჩანს, ბ-ნი გ. ლორთქიფანიძისათვის ბ-ნ ნ. შარიას შეურაცხყოფა მხოლოდ საშუალებაა, რათა ჩრდილი მიაყენოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მისი კრიტიკის მთავარ სამიზნეს. როგორ არ გაიხსენოთ მაკიაველის ცნობილი სიტყვები „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, მართალი სიტყვითა და საქმით ვემსახუროთ ჩვენ სამშობლოს, ხოლო კრიტიკა გამართლებულია იმ შემთხვევაში თუ ჩვენს ეროვნულ საქმეს გამოადგება და სამშობლოს საკეთილდღეოდ იქნება გამიზნული.

რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში

პრეზიდიუმი — აგრარულ საკითხზე

ამ დღეებში გაიმართა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელიც რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის საკითხების განხილვას მიეძღვნა.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჯულაძე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ. გუგუშვილი, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები: ი. ჩხეიძე, რ. პეტრიაშვილი, ტ. გელანტია, გ. თაქთაქიშვილი, უზენაესი საბჭოს სამდივნოს თავმჯდომარე ა. კობულაშვილი, სოფლის მეურნეობის მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის წევრები და კონსულტანტები, ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები.

სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმა კომისიამ განსახილველად წარმოადგინა წამყვანი სპეციალისტებისა და მეცნიერების მონაწილეობით მომზადებული კანონპროექტების დასტა:

1. „კანონი მიწის რეფორმის შესახებ“;
2. „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის სტატუსი“;
3. დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში იჯარის შესახებ“;
4. „საქართველოში მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლის კანონმდებლობის საფუძვლები“.

სხდომის მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა და წარმოდგენილი კანონპროექტების შესახებ მოკლედ ესაუბრა უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩხეიძე.

პრეზიდიუმის მონაწილეებს პროექტები განსახილველად წარუდგინეს და დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცეს ავტორებმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ჭანტურიამ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ო. სალარეიშვილმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ქ. რეხვიაშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. კეკელიამ.

პროექტების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა: გ. მაჭავარიამ, რ. იოსელიანმა, ბ. გონაშვილმა, თ. მდინარაძემ.

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის წინადადებით გადაწყდა მთავრობის კაბინეტთან ერთად პერიოდულად მოეწყოს მსგავსი შეხვედრები წარმოდგენილი პროექტების შეჯერებისა და დახვეწის მიზნით.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

მ. კედია,
სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის უფროსი კონსულტანტი

მამათა მიწა შვილთა მიწაა...

თითქოსდა, თვით ბუნებამ გადაწყვიტა გამოეცადოს საქართველოს მოსახლეობის სიმტკიცე, რომელიც ესწრაფვის რეალური სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებას. ყოველ შემთხვევაში ყველა ხალხი როდი გაუძლებდა წლეულს ორი ძლიერი მიწისძვრისაგან გამოწვეულ ელდას, სულით გაუტეხელი ადამიანები ნანგრევებიდან აღადგენენ და ხელახლა აშენებენ საცხოვრებლებს, სკოლებს, ეკლესიებს, სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტებს.

24 ოქტომბერს დაზარალებულ მთის რაიონებს ეწვიენენ და აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, მისი მოადგილე ბაკურ გულუა, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

თბილისიდან გაფრენილი ვერტმფრენი პირველად დაჯდა გორში. პრეფექტურის შენობაში გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი რეგიონში შექმნილი ვითარების, სერიოზულ პრობლემათა დაძლევის გზების შესახებ. კერძოდ, აღინიშნა, რომ ამ და მეზობელ ქარელის რაიონებში სამშენებლო სამუშაოთა განხორციელებას აბრკოლებს ოს ექსტრემისტთა მოქმედება, რომლებიც არ უშვებენ სამშენ მასალებს. თათბირზე დაისვა საკითხი, რომ საჭიროა შეიქმნას აქ მუნიციპალური მილიცია. განხორციელდეს სხვა კონკრეტული ღონისძიებანი რთული ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციისათვის.

სამშენებლო სამუშაოები რომ ნორმალურად გაგრძელდეს, უნდა უზრუნველვყოთ ხეითის გზით მიმავალი ტვირთიანი ავტომანქანების მძღოლთა დაცვა და უშიშროება, დამატებით 1,5 მილიონი ცალი აგურის, 1500 ფილისა და გადახურვისათვის საჭირო ფურცლოვანი ლითონის, 200 ტონა არმატურის, ამწეების, ავტოტრანსპორტის, საცხოვრებელი ვაგონების მიღება. პრემიერ-მინისტრმა ამასთან დაკავშირებით სამეურნეო ხელმძღვანელებს მისცა შესაბამისი დავალებანი.

...ნახევარი საათის ფრენის შემდეგ ქვემოთ გამოჩნდა ონი. რამდენიმე ასეული მეტრი სიმაღლიდანაც კი რაიონული ცენტრი ერთიან სამშენებლო მოედნად წარმოგვიდგა. კაცმა რომ თქვას, აღდგენითი სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს რაიონის 66 სოფლის 2800-ზე მეტ სახლში, ხოლო 1878 სახლში ეს სამუშაოები უკვე დამთავრდა.

საქმეს დიდად წაადგა სოფელ ნაკიეთში მსხვილი საწარმოო ბაზის შექმნა.

— აქ, — გვიხსნის ონის რაიონის სოფლების მშენებლობის კომპლექსის უფროსი ავთანდილ ჩალაძე, — დამონტაჟებულია ბეტონის და სახარისხებელი კვანძები, დღე-ღამეში 10 ათასი ერთეული სიმძლავრის მცირე საკედლე ბლოკების გამოსაშვები საამქრო, სხვადასხვა საწყობები. წარმოიშვა დაბაც, სადაც ცხოვრობს 300 მშენებელი, მოქმედებს სასადილო.

ახლა ქუთაისიდან კი არ მიაქვთ, არამედ შორიახლოს მოწყობილ ქარხანაში ადგილობრივი ნედლეულისაგან მზადდება ინერტული მასალები, ყოველდღიურად დაახლოებით 600 კუბური მეტრი. მათი ნაწილი გამოიყენეს რაიონულ ცენტრში გახსნილი სასკოლო კომპლექსის მშენებლობისას, რომელიც თბილისელებსაც კი შეშურდებოდათ. მისი ორი კეთილმოწყობილი კორპუსი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით, ინვენტარით, აქ არის საძინებელი პალატები 740 ბავშვისათვის. სიმაგრით, მედეგობის ბეტონის „სარტყელით“ გამოირჩევა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სხვა ნაგებობანი, რომლებიც აქ შენდება.

მშენებლები ონში, სხვათა შორის, ისევე როგორც ყველა სხვა რაიონში, სადაც იმ დღეს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელები იყვნენ, აღძრავდნენ მიმდინარე სამუშაოთა დაფინანსებასთან, ფულადი ნიშნების უქონლობასთან, საწვავით უზრუნველყოფასთან, სასურსათო პროდუქტებით, სიგარეტებით მომარაგებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს საკითხებიც გადაიჭრება, თანაც პრიორიტეტულად, თქვა პრემიერ-მინისტრმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, რესპუბლიკაში არსებულ რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

ამბროლაურის რაიონში, როგორც სამშენებლო კომპლექსის უფროსმა ნოდარ ხარაბაძემ თქვა, სიცოცხლე დაუბრუნეს დანგრეული საცხოვრებლების, რამდენიმე სკოლის, საბავშვო ბაღის დაახლოებით 67 პროცენტს. ახალმშენებლობათა გაცნობა დაიწყო 150 საწოლისათვის გათვალისწინებული ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს დათვალიერებით. აქ უკვე მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

სოფელი წესი მიწისძვრის ეპიცენტრში აღმოჩნდა. თითქმის ყველა სახლი დანგრეული იყო, ხოლო 147 — მიწასთან გასწორებული. და აი, ახლა აქ კვლავ ბრუნდება სიცოცხლე, ვაზს კვლავ უვლის გლეხი. მშენებლებს კი აღდგენითი სამუშაოების დასრულება მარტო ცხრა უწინდელი სახლის ადგილზე დარჩათ. ამის შედეგად წესის ყველა ოჯახი ზამთარს შეხვდება არა კარვებში, არამედ საკუთარ კოტეჯებში.

მართალია, მშენებლები უფრო მეტის გაკეთებას მოასწრებდნენ, ხე-ტყის, ცემენტის, შავი ლითონის, პანელსაზიდების ნაკლებობა რომ არა. შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები დაჰპირდნენ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან უახლოეს დღეებში.

ბოლო ორ თვეს საჩხერეში არ ყოფილა წვიმა. და ისე მოხდა, რომ წვიმა სწორედ თბილისელი სტუმრების ჩამოსვლის დღეს მოვიდა. მაგრამ კოკისპირულმა წვიმამაც ვერ შეაჩერა აქ მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები. სტიქიური უბედურების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ნგრევა ქალაქში მოხდა წმინდა ნინოს ქუჩაზე. ახლა „თბილისქალაქმშენის“ ტრესტის მუშაკები აღადგენენ ძველ უბანს, უწინდელ სახეს უბრუნებენ მას. აქ შენდება ორასზე მეტი სეისმომედეგი სახლი.

მიმდინარე სამუშაოთა მასშტაბზე შეიძლება ვიმსჯელოთ ასეთი ციფრებით: რაიონში დასაქმებულია რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ათი ათასამდე მუშა და სპეციალისტი. ჩამოყალიბდა საკმაოდ სოლიდური სამშენებლო კომპლექსი. დამონტაჟდა 21 ბეტონის კვანძი, რაც საშუალებას იძლევა ადგილზე მიიღონ 2000-2200 კუბური მეტრი ბეტონი. აქ ყოველდღიურად უშვებენ 500 ათას ვიწრო ბლოკს. რეგიონის აღდგენის პროგრამა გათვალისწინებულია ოთხი წლისათვის. მაგრამ, თუ იქნა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, იგი შეიძლება უკვე გაისად შესრულდეს, — თქვა პრეფექტურაში გამართულ თათბირზე საჩხერის სამშენებლო კომპლექსის უფროსმა ი. ქევხიშვილმა. ეს ეხება რუსეთში საჭირო მასალების შესაძენად კრედიტის გამოყოფასაც, საწვავით რიტმულ მომარაგებასაც და ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფასაც.

თითქმის იგივე საკითხები აღძრა თათბირზე გამოსულმა ჭიათურის სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელმა ზ. კაპანაძემაც. ამ რეგიონში აშენებული, გამაგრებული და აღდგენილია დაახლოებით 4800 საცხოვრებელი სახლი. სამუშაოები გრძელდება კიდევ 2629 სახლში, შენდება ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის ობიექტები. ისინი საექსპლოატაციოდ მით უფრო სწრაფად გადაეცემა, რაც უფრო ადრე მიიღებენ საჭირო რაოდენობის ცემენტს, ლითონს, შიფერს, ხე-ტყეს...

დრო არ იცდის, შემოდგომის უამინდობამ შეიძლება თავისი სერიოზული კორექტივები შეიტანოს სამშენებლო სამუშაოებში. და მაშინ მარტო მშენებელთა ენთუზიაზმი საკმარისი არ იქნება.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

• • •

სურათებზე: აქ, სადაც ნანგრევები იყო, შენდება ახალი ქუჩა, რომელიც დაამშვენებს ონს; სადაცაა ჩაიბარებენ ამბროლაურის საავადმყოფოს.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

საქართველო მასპინძლობს დებორ-ცენტრის ქირურგებს

ძველი და ახლობელი მეგობრებივით ეგებება რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ამერიკელ ექიმებს — დებორ-ცენტრის წარმომადგენლებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გულისა და ფილტვების ქირურგიის ამ ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების კოლექტივს ეკუთვნის იდეა ჰუმანური პროგრამისა „მსოფლიოს ბავშვები“. მისი მიზანია ქირურგიული დახმარება გაუწიოს სხვადასხვა ქვეყნის ნორჩ პაციენტებს, რომლებსაც გულისა და ფილტვების დაავადებანი აწუხებთ.

ამ პროგრამის ფარგლებში ცენტრის ხელმძღვანელობამ 4-5 მილიონი დოლარი გამოყო ქართველი ბავშვების მკურნალობისათვის. ერთი წლის წინათ ამერიკელ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი იყო თბილისში, გააკეთეს 19 ოპერაცია. ყველა ბავშვი თავს კარგად გრძნობს. ამერიკელმა სპეციალისტებმა მაშინ თან ჩამოიტანეს სამედიცინო აპარატურა, იარაღები, მედიკამენტები, სახვევი მასალები და ყველაფერი ეს უსასყიდლოდ გადასცეს ქართველ კოლეგებს.

24 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გამართულ პრესკონფერენციაზე დებორ-ცენტრის პრეზიდენტმა სტენლი ფრიეინსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ამერიკელ და ქართველ მედიკოსთა თანამშრომლობა წარმატებით მიმდინარეობს. წელს ამერიკის ცენტრში ოპერაცია გაუკეთდა ხუთ ბავშვს საქართველოდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა სტაჟირება ქართველი ექიმების ორმა ჯგუფმა. ვვარაუდობთ, რომ დებორ-ცენტრში გაივლიან სწავლების კურსს ჩვენი რესპუბლიკის საოპერაციო სამედიცინო დებიც, კარდიოქირურგები, ანესთეზიოლოგები, ინტენსიური თერაპიის დარგის სპეციალისტები.

— ახლანდელი ჩამოსვლის მიზანი ამერიკა-საქართველოს თანამშრომლობის სფეროების გაფართოებაა, — თქვა ბატონმა ფრიეინსკიმ. — ჩვენ გამოვიკვლევთ ოპერაციაგაკეთებულ ბავშვებს, აგრეთვე იმათ, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება. დებორ-ცენტრის ექიმები და სამედიცინო დები წაიკითხავენ ლექციებს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ვვარაუდობთ დავდოთ ხელშეკრულებები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, ზოგიერთ სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მანანა ძოძუაშვილმა სამედიცინო საზოგადოებრიობის, პატარა პაციენტების, მათი მშობლების სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა ამერიკელ სპეციალისტებს უანგარო დახმარებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მედიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას დებორ-ცენტრის კოლეგებთან, რომლის წყალობითაც ინვალიდობისათვის განწირული ბავშვები სრულფასოვანი მოქალაქენი გახდნენ. ვიმედოვნებთ, — თქვა ქალბატონმა ძოძუაშვილმა, — რომ ასეთი კონტაქტები ხანგრძლივი და სასარგებლო იქნება.

25 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო ამერიკელი კარდიოქირურგები სტენლი ფრიეინსკის მეთაურობით. გაიმართა საუბარი ამერიკელი და ქართველი ექიმების თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

საქინფორმი.

გიორგი წერეთელი:

სამშობლო ერთია

საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ჩვენი პარიზელი თანამემამულე, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, პუბლიცისტი, პოეტი, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „ბუშაგის“ რედაქტორი, ბატონი გიორგი წერეთელი თავის მეუღლესთან ერთად საქართველოში იმყოფება.

მას ნახევარი საუკუნეა არ უნახავს სამშობლო და ამ ხნის განმავლობაში მეტად რთული და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. სამშობლოს სიშორის სევდა კი გარკვეულწილად მეუღლემ — პარიზელმა ქართველმა, ერთგულმა თანამებრძოლმა, თანამოაზრემ და უსათნოესმა ქალბატონმა ეთერ შენგელიამ გადაატანინა.

სექტემბრის ბოლოს ბატონი გიორგი თბილისს ჩამობრძანდა, ახლა კი პარიზს გამგზავრების თადარიგში მყოფს შევხვდი.

— ზოგიერთივით თქვენც არ მკითხოთ — საფრანგეთს — მეორე სამშობლოში გამგზავრებისას რას განიცდით — დაგვასწრო, მერე ჩაფიქრებულმა განაგრძო — სამშობლო დედასავით მხოლოდ ერთია, შეიძლება მეტ-ნაკლებად გიყვარდეთ ესა თუ ის ერი, ან ქვეყანა, მაგრამ საქართველო, სამშობლო — ერთია.

— საფრანგეთზე რას ბრძანებდით?

— საფრანგეთმა შეგვიფარა ბევრი ქართველი, მათ შორის მეც. მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილმა პარიზში ბიძაშვილთან შევაფარე თავი. 1945 წელს, როცა ტყვეებს მოსკოვში გზავნიდნენ, ვითომდა სამშობლოში აბრუნებდნენ, ამბავი ჩამოგვივიდა — ტყვედყოფილებს ყველას პირდაპირ შორეულ აღმოსავლეთში ასახლებენო.

ფრანგები თავისებური, თბილი ხალხია. საფრანგეთი თავიდანვე პოლიტიკურ სიმპათიებს იჩენდა საქართველოს მიმართ. აქ ჩვენი ემიგრაციის დროს რაიმე ანტაგონიზმს არ შევხვედრივართ. ამიტომ დავრჩი და ემიგრანტულ მოძრაობაში ჩავები, ჯერ ლიტერატურულ საქმიანობას ვეწეოდი, შემდეგ კი პოლიტიკური მოძრაობაც დაიწყო. პირველ ხანებში ეროვნული საბჭოს კომისიის დაარსების საინიციატივო ჯგუფის მდივანი ვიყავი, ერთი წუთითაც არ მიცხოვრია ისე, რომ სამშობლოსთან სულიერი კავშირი არ მქონოდა.

— ბატონო გიორგი, როგორი სამშობლო დატოვეთ და როგორი დაგიხვდათ?

— საქართველო მართლაც უნუგეშო მდგომარეობაში იყო, როცა დავტოვე. მაშინ სად იყო სიტყვის თავისუფლება. თანაც ქართველებს ომის სასაკლაოზე მიერეკებოდნენ, რომელსაც სამამულო უწოდეს, სამწუხაროდ, ბევრმა ქართველმა არ იცოდა, რომ ეს ომი სამამულო რუსებისთვის იყო. რომც სცოდნოდათ, არც ეს შეცვლიდა რამეს. უზარმაზარი მსხვერპლი გავიღეთ.

საქართველოში დიდი ცვლილება რომ არ მომხდარიყო, დღეს აქ არ ვიქნებოდი. ჩემი უცხოეთში ცხოვრება პროტესტი იყო რუსეთის მხრიდან ჩემი ქვეყნის დაპყრობის გამო. სრულ თავისუფლებამდე ცოტაღა დარჩა, 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ამიტომ გადავწყვიტე ჩამოსვლა. საქართველო დღეს პოლიტიკურად დაძაბულია. თითქმის ორად გაყოფილი — გამსახურდიას მომხრეებად და მის მოწინააღმდეგეებად თბილისი დამხვდა, თორემ როგორც ამბობენ და თავადაც ვიხილე რაიონებში სიმშვიდეა. ვითარება რამენაირად უნდა მოწესრიგდეს. ამდენი ხნის ოცნება ბოლოს და ბოლოს საქმედ უნდა იქცეს. ხომ შეიძლება კაცი არ გიყვარდეს, მაგრამ ეროვნული საქმე აკეთო. მხოლოდ ურთიერთგაგებას და შეთანხმებას უნდა ესწრაფვოდეს ყველა.

შევხვდი ბატონ ზვიად გამსახურდიას, ოლღა დემურია-კოსტავას, მონაწილეობა მივიღე მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის გადაღებაში, მქონდა კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრა, რომელთაც ღრმა, წარუშლელი კვალი დააჩნიეს ჩემს სულსა და გულს.

— მშობლიურ სოფელში თუ ბრძანდებოდით. თქვენი პოეტური კრებულები აქ სიყვარულით გიორგი პერევისელის ფსევდონიმით გამოუშვით.

— ო, ჩემს პერევისაში მართლაც ტრიუმფალური შეხვედრა მომიწყვეს. რატომღაც არ მოველოდი, მე ხომ იქ არც მისწავლია, არც საზოგადოებრივ საქმიანობაში მიმიღია მონაწილეობა. ამის მიუხედავად იმდენი სითბო და სიყვარული მომაგეს, აღარ მიშვებდნენ, სულში მისვამდნენ (ყელში ბურთი მოაწვა და თვალები ცრემლმა დაუნამა). მაპატიეთ ეს გულჩვილობა, ეტყობა ასაკის ბრალია. თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, მალე ჩამოვალ. ღმერთმა თავისუფალი, ჰარმონიული სამშობლო მაჩვენოს.

* * *

გზა კეთილი, ბატონო გიორგი, ქალბატონო ეთერ — სამშობლოს სიყვარულში დამაშვრალნო!

ბელა დურგლიშვილი.

საზღვარგარეთ

იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატამ რეზოლუცია მიიღო, რომლის ძალითაც იტალიის პარლამენტი მზადყოფნას გამოთქვამს სცნოს სლოვენიისა და ხორვატიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

შვედეთის რადიოს ცნობით დანიის ავიაკომპანია „სტერლინგ ეიუეიზი“ მოლაპარაკებას აწარმოებს ლიტვის მთავრობასთან ეროვნული ავიაკომპანიის ერთობლივად შექმნის თაობაზე.

მიმდინარე თვის ბოლოს დიდ ბრიტანეთში პრემიერ ჯონ მეიჯორის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩავა ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, მოლაპარაკების დროს განიხილავენ ყაზახეთის ნავთობის ერთობლივად მოპოვების საკითხებს.

დასავლეთში დიდი შეშფოთებით აღიქვამენ უკრაინის ეროვნული არმიის შექმნას. განსაკუთრებით აღელვებთ უკრაინაში არსებული 176 ბირთვული რაკეტის გაშვების მართვის ბედი. როგორც ცნობილია უკრაინის პარლამენტმა განაცხადა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა რაკეტები უკრაინის საკუთრება გახდება, ხოლო მომავალში კი საერთაშორისო ექსპერტების თანდასწრებით მოხდება მათი განადგურება. ამასთან დაკავშირებით პენტაგონმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგობას გაუწევს უკრაინის ბირთვული პოტენციალის შექმნას, მაგრამ ამავე დროს დასძინა, რომ უკრაინას სრული უფლება აქვს იყოლიოს საკუთარი შეიარაღებული ძალები.

ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი ემზადება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანად მოწესრიგებისადმი მიძღვნილი კონფერენციისათვის, რომელიც 30 აგვისტოს არის დანიშნული. მადრიდში წესრიგის დასაცავად ჩაყვანილია ოთხი ათასამდე სპეციალური დანიშნულების ჯარისკაცი.

24 ოქტომბერს აღინიშნა გაეროს დღე. ზუსტად 46 წლის წინ ძალაში შევიდა გაეროს წესდება. საზეიმო სხდომაზე გამოსვლის დროს ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა აღნიშნა, რომ მოწესრიგებულია მრავალი ძველი პრობლემა, მაგრამ მსოფლიოში გაჩნდა მთელი რიგი ახალი აფეთქებადსაშიში რეგიონები. გენერალურმა მდივანმა მსოფლიოს ლიდერებს მოუწოდა, რომ ცოტა ხნის წინათ მოპოვებული თავისუფლებანი და მასების გამონთავისუფლებული ახალი ენერგია ხმარდებოდეს ჰუმანური მიზნების მიღწევას.

შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის მუშაკებმა მაიამიში განაცხადეს, რომ კუბის საპატრულო კარჭაპმა კუნძულიდან 24 კილომეტრის დაშორებით ხუთჯერ გაუხსნა ცეცხლი ამერიკულ სეინერს. გემი არ დაზიანებულა, მსხვერპლი არ არის.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აქბარ ველაიათიმ თეირანში განაცხადა, რომ პალესტინის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი შესაძლო გზაა სიონისტური რეჟიმის მოსპობა, პალესტინის წმინდა მიწის დაბრუნება მაჰმადიანებისათვის და პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენა. მან უარყო ისრაელთან შეთანხმებისა თუ შერიგების ყოველგვარი შესაძლებლობა. ველაიათიმ თქვა, რომ ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საზავო კონფერენცია მადრიდში „უაზრო შოუ“ იქნება და მოუწოდა ყველა მუსულმანს წინ აღუდგეს „სიონისტურ რეჟიმსა და მთელი ექსპანსიონისტური ძალების განმტკიცებას“.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სადამ ჰუსეინი განსაკუთრებულად მიახლოებულ პირებსაც კი არ ენდობა. მათი ოჯახები ბაღდადის, რეჟიმის მეთაურის ბრძანებით მის მშობლიურ ქალაქ ტიკრიტში ჩაიყვანეს და ვითომ უსაფრთხოებისათვის ძალით აკავებენ იქ, სინამდვილეში კი ისინი მძევლები ხდებიან.

ჰააგაში გუშინ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ იუგოსლავიის ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ბი-ბი-სი აღნიშნავს, რომ ევროპის თანამეგობრობა შეხვედრის დროს იუგოსლავიის დეცენტრალიზაციის მოთხოვნით გამოვა, რაც ფაქტიურად იუგოსლავიის დაშლას ნიშნავს.

გაზეთ „ფაინენშელ თაიმსის“ ცნობით გუშინ ევროპარლამენტმა ტექნიკური დახმარების ხაზით საბჭოთა კავშირს უარი უთხრა 280 მილიონი ფუნტი სტერლინგის დახმარებაზე.

სუკის ახლანდელმა თავმჯდომარემ ვადიმ ბაკატინმა აღნიშნა, რომ აგვისტოს პუტჩის დროს სუკის თანამშრომელთა რიცხვი 500 ათასს აჭარბებდა.

იუგოსლავიის ელჩი ვაშინგტონში თეთრ სახლში გამოიძახეს და პროტესტი განუცხადეს დუბროვნიკის ბარბაროსული დაბომბვის გამო.

გამოცდილება

საიჯარო ურთიერთობანი საფრანგეთში

სოფლის მეურნეობის ამაღლების მნიშვნელოვანი უზრუნველყოფა ქვეყნის ყველაზე საჭირბოროტო ეკონომიკური პრობლემაა. მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ გლეხის, როგორც პროფესიული მიწათმოქმედის აღორძინებით, რომელსაც სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა ექნება. გლეხს ამგვარი დამოუკიდებლობის გარანტიას ანიჭებს მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა ხანგრძლივი ვადით იჯარა.

ამ მიზნის მისაღწევად 1945-46 წლებში საფრანგეთის კანონმდებლობაში დამკვიდრდა დებულებები, რომლებმაც უზრუნველყო მოიჯარის სამეურნეო საქმიანობის სტაბილურობა, იჯარის 9-წლიანი მინიმალური ვადის დამკვიდრებით და მოიჯარის მიერ მისი გაგრძელების უფლებით. მეურნეობით სარგებლობის უწყვეტობა ხელს უწყობს ოჯახის ერთ-ერთ წევრზე იჯარის უფლების გადაცემის შესაძლებლობას და ამ უფლების მემკვიდრეობით გადასვლას მოიჯარის სიკვდილის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის დროს კი მოიჯარის მიერ კომპენსაციის მიღების უფლება მის მიერ მეურნეობაში დაბანდებული სახსრების ხარჯზე მეურნეობათა რენტაბელობის ამაღლების სტიმულად იქცა. მოიჯარის პოზიციების სიმტკიცეს მყარი გარანტიები მისცა მესაკუთრის მიერ მეურნეობის გაყიდვის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ამ საიჯარო მეურნეობის შეძენის უპირატესმა უფლებამ.

საიჯარო ხელშეკრულება ვადამდე ვერ დაირღვევა (კანონით გათვალისწინებული საგანგებო შემთხვევების გარდა) და ძალაშია მფლობელის მიერ მეურნეობის გასხვისების შემთხვევაშიც (გაყიდვისას, მემკვიდრეობით გადაცემისას, ჩუქებისას და ა. შ.). მოიჯარის სიკვდილის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება ბოლო 5 წლის მანძილზე მეურნეობაში მომუშავე მეუღლის, შვილების და მშობლების სასარგებლოდ.

იჯარით გადამცემის მხრიდან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს: მოიჯარის მიერ მიწის ცუდად გამოყენება, საიჯარო გადასახადის გადაუხდელობა, სასოფლო-სამეურნეო იჯარის საკონსულტაციო კომისიის მიერ შეთავაზებულ სიახლეთა დანერგვაზე უარის თქმა.

საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება კეთდება ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 18 თვით ადრე, ხოლო არენდით ხელახალი გადაცემისთვის, მეურნეობის დაბრუნების შემთხვევაში — 2 წლით ადრე.

1970 წლიდან კანონი ითვალისწინებს გრძელვადიან სასოფლო-სამეურნეო იჯარას 18 წლით და მეტი ვადით. იჯარით გადამცემთათვის გათვალისწინებულია ზოგიერთი საგადასახადო შეღავათი, რომელიც სტიმულს აძლევს გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებათა დადებას (მემკვიდრეობის უფლებაზე გადასახადისგან ნაწილობრივი განთავისუფლება). ასეთი იჯარის ვადა შეიძლება კიდევ 9 წლით გაგრძელდეს.

1980 წლიდან კი მოქმედებს გრძელვადიანი იჯარის ახალი ტიპი — 25 წლით და მეტი ვადით, მოიჯარის საპენსიო ასაკის დადგომამდე. ასეთი ვადის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ისეთი მეურნეობის იჯარაზე, რომელიც ეკონომიკურ ერთეულს შეადგენს ან ისეთი მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობიც აღემატება კანონით დადგენილ მინიმალურ ფართობს სოფლად მოსაწყობად.

ამას გარდა, საფრანგეთის ზოგიერთ პროვინციაში (კორსიკაში) შემორჩენილია იჯარის ისეთი უძველესი ფორმა, როგორიცაა ემფითევზისი ანუ უძრავი ქონების გადაცემა ხანგრძლივი ვადით 18-დან 99 წლამდე მინიმალური საიჯარო გადასახადით და მოიჯარისათვის დიდი უფლებების მიცემით, მაგრამ იმ ვალდებულებით, რომ აუცილებლად დანერგავს სიახლეებს საიჯარო მეურნეობაში.

1985 წელს კანონით დამტკიცდა აგრარულ მეურნეობათა ორგანიზაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის სამოქალაქო-სამართლებრივი საზოგადოებების ფორმით. ამ მოქნილი იურიდიული სტრუქტურის გამოყენება, რომელიც თვითონ მიწათმოქმედთა მიერ შეიძლება შეიქმნას, მაგრამ სხვა პირთათვისაც ღიაა (ოჯახის წევრისთვის, მესამე პირისთვის), მიწათმოქმედს იცავს გაკოტრებისაგან, იძლევა მათი ქონების ხელშეუხებლობის გარანტიას და აადვილებს მეურნეობის გადაცემას სხვა პირებისათვის.

საიჯარო მეურნეობათა და მათ გაერთიანებათა წახალისებით, მეურნეობრიობის ახალ სამართლებრივ ფორმათა დამკვიდრებით და მოიჯარეთა უფლებების გაფართოებით არ შემოფარგლულა სახელმწიფო. 60-იან და 80-იან წლებში ის ქმნის მთელ რიგ ინსტრუმენტებს, ისეთებს, როგორიცაა აგრარულ სტრუქტურათა გარდაქმნისა და გაუმჯობესების საზოგადოებები, აგრარულ სტრუქტურათა გაუმჯობესების სოციალურ ღონისძიებათა ფონდი და სხვა. ამას გარდა, სახელმწიფო ადგენს მეურნეობათა ოპტიმალურ ზღვრებს და ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე კონტროლს უწევს მათ შერწყმას. ამ ღონისძიებათა მიზანია კონკურენტუნარიან მეურნეობათა შექმნა.

იჯარულ ურთიერთობათა სრულყოფის ღონისძიებათა გამოყენებამ ხელი შეუწყო შრომის მწარმოებლურობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის მკვეთრ ზრდას. თუკი 1960 წელს ერთი ფრანგი მიწათმოქმედი კვებავდა 7 კაცს, 1985 წელს უკვე — 40 კაცს. 1970 წლიდან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 80 პროცენტით. ბოლო წლებში ქვეყანაში შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჭარბწარმოების კრიზისის ნიშნები.

ფრანგულ სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობები რეგულირდება სასოფლო-სამეურნეო იჯარის შესახებ მთელი რიგი სპეციალური კანონებით: მაგალითად, სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შესახებ კანონით, აგრარული კოდექსით, სასოფლო-სამეურნეო იჯარის პარიტეტული სასამართლოების შესახებ კანონით და ეკონომიკურ და სოციალურ გარემოსთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ადაპტაციის კანონით.

აგრარულ კოდექსში, რომელიც 1337 მუხლს შეიცავს, სასოფლო-სამეურნეო იჯარას ეხება 168 მუხლი, აქედან საქონლის იჯარას ეხება 32 მუხლი, მონახევრეობას — 7 მუხლი, მონახევრეობის გადაქცევას ფერმერულ იჯარად — 5 მუხლი. ამას გარდა, კოდექსის 17 მუხლი, რომლებიც აგრარული მეურნეობების სტრუქტურათა კონტროლს ეძღვნება, პირდაპირ ან ირიბად ეხება მოიჯარეებს. კოდექსს თან ერთვის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო იჯარის პარიტეტული სასამართლოების შესახებ, რომელიც 33 მუხლს შეიცავს.

სასოფლო-სამეურნეო იჯარის ტიპურ წესდებას იღებს დეპარტამენტის საკონსულტაციო კომისია. მასში შესულია დებულებები, რომლებიც მოიჯარის პიროვნულობას, მხარეთა ვალდებულებებს, საიჯარო გადასახადს და იჯარის ვადებს ეხებიან. არ შეიძლება დაირღვეს ხელშეკრულების პირობები და აუცილებელია მხარეებისთვის.

სასოფლო-სამეურნეო იჯარის წესდება ითვალისწინებს ორი სახის ხელშეკრულებას:

1. ფერმის იჯარა წინასწარ დადგენილი მტკიცე საიჯარო გადასახადით;
2. მოზიარეობა იჯარით გადამცემსა და მოზიარეს შორის საიჯარო პროდუქციის გაყოფით მათი წვლილის პროპორციულად (ჩვეულებრივ, მოზიარე მოსავლის ორ მესამედს იღებს).

იჯარით გადამცემი ვალდებულია საიჯაროდ გადაცემული ქონება ჩააბაროს წესიერ მდგომარეობაში. მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო გადასახადი და რაციონალურად გამოიყენოს იჯარით მიღებული ქონება.

საიჯარო ხელშეკრულების უფლების დათმობა, აგრეთვე საიჯარო ქონების ქვექირავნობით გადაცემა აკრძალულია. გამონაკლისი დაიშვება იჯარით გადამცემის ნებართვით.

საიჯარო გადასახადს თითოეულ დეპარტამენტში განსაზღვრავს რესპუბლიკის კომისარი და საკონსულტაციო პარიტეტულმა კომისიამ უნდა მოიწონოს. მისი რაოდენობა დამოკიდებულია ამ მეურნეობაში მოყვანილი პროდუქციის ღირებულებაზე, იჯარის ვადაზე, ნაგებობათა მდგომარეობასა და სიდიდეზე, ნიადაგის ხარისხზე.

ყოველ 9 წელიწადში ერთხელ გადაისინჯება იმ პროდუქტების სია, რის მიხედვითაც საიჯარო გადასახადის ოდენობა გამოითვლება. ამ გადასახადის გადახდის წესს თვითონ შეთანხმებული მხარეები ირჩევენ. როგორც წესი, ეს ხდება ფულით, მაგრამ შეიძლება ნატურითაც და შერეულადაც. იჯარით გადამცემს არ შეუძლია საიჯარო გადასახადს ზევით სხვა რაიმე გადასახადი ან მომსახურება მოსთხოვოს მოიჯარეს. მიწის გადასახადი და ნაგებობათა დაზღვევა მხოლოდ იჯარით გადამცემს ეკისრება. გზების შენახვის გადასახადი და სასოფლო-სამეურნეო სოციალურ გადასახადთა ფონდში შესატანი საწევრო გადასახადი ეკისრება მოიჯარეს. საიჯარო გადასახადის წლიური რაოდენობა საშუალოდ შეადგენს მიწის ღირებულების 2-3 პროცენტს.

იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, იჯარით გადამცემის (მეიჯარეს) მიერ ქონების დაბრუნების უფლება მხოლოდ შემდეგი პირობებით ხდება: თუკი ამ მომენტისათვის მოიჯარემ საპენსიო ასაკს არ მიაღწია, თუკი მას ისევ აქვს ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, მეურნეობის გაძღოლისათვის აუცილებელი ცოდნა და ფინანსური საშუალებები. მან უნდა ივალდებულოს, რომ 9 წლის განმავლობაში პირადად გაუძღვება მეურნეობას და იცხოვრებს მეურნეობაში ან მის მახლობლად. თუკი მოიჯარე ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მეიჯარეს შეუძლია იჯარა დაიბრუნოს ზარალის ანაზღაურებით.

იჯარით გადამცემისათვის მეურნეობის დაბრუნებისას მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მან მეურნეობის გაუმჯობესებას მოახმარა, თუკი ამან არანაკლებ 20 პროცენტით გაზარდა მიწის საწარმოო პოტენციალი. 1984 წლის კანონში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ის აგროტექნიკური და მიწის ოპერაციები, რომლის ჩატარების უფლებაც აქვს მოიჯარეს, აგრეთვე — ჩატარებული სამუშაოების კომპენსაციის რაოდენობის გამოთვლის ხერხები.

იჯარით აღებული ქონების უპირატესი შეძენის უფლება მისი გაყიდვის შემთხვევაში ეძლევა ამ მეურნეობის მოიჯარეს იმ პირობით, თუკი ის სოფლის მეურნეობაში არანაკლებ 3 წელია მუშაობს და ამ ნაკვეთს ამუშავებს. მოიჯარის მიერ საიჯაროდ აღებული მიწის ნაკვეთის საკუთრებად შეძენისას ის მთლიანად თავისუფლდება ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადასახადებისგან.

საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო იჯარის მეორე სახე არის სანახევრო იჯარა. მონახევრისათვის იჯარით გადაცემული მიწები მთელი დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ფართობების 1 პროცენტია და ძირითადად ქვეყნის სამხრეთშია ეს მიწები. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის ხუთ მეექვსედს მონახევრეები ამუშავებდნენ. სანახევრო იჯარას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი საშუალებას იძლევა სოფლის მეურნეობაში ჩაებნენ ის ადამიანები, რომელთაც პირველდაწყებითი კაპიტალი არა აქვთ. მონახევრეობის ხელშეკრულებით იჯარის გადამცემი მონახევრეს აგრარულ მეურნეობას აძლევს მეურნეობის პროდუქციის გარკვეულ წილად. ის წილი, რასაც იჯარით გადამცემი იღებს, არ უნდა იყოს მთელი პროდუქციის მოცულობის ერთ მესამედზე მეტი. კანონმდებლობა უშვებს — მონახევრეობა შეიძლება მთელი მეურნეობის ან მისი ნაწილის ჩვეულებრივ იჯარად იქცეს რომელიმე მხარის ინიციატივით.

იჯარით გადამცემსა და მოიჯარეს შორის წარმოქმნილ ყველა დავას განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო იჯარის პარიტეტული სასამართლოები, რომლებიც თითოეული ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოებთან არსებობენ. ისინი შედგებიან სასამართლოს თავმჯდომარისგან და 4 წევრისგან, რომლებიც მოიჯარეების და მესაკუთრეების წარმომადგენლები არიან და ხუთი წლის ვადით ირჩევიან.

ამრიგად, იჯარა ითვლება აგრარული მეურნეობის ყველაზე პროგრესულ სახედ, ვიდრე საკუთრების საფუძველზე აგებული აგრარული მეურნეობა და კანონმდებლობა განამტკიცებს საიჯარო ურთიერთობათა სტაბილურობას. იჯარის ხანგრძლივი ვადის საფუძველზე, გონივრული გადასახადით, საიჯაროდ აღებულ მიწაზე მაქსიმალური თავისუფლების მიცემით, მფლობელის მიერ მისი გაყიდვის შემთხვევაში მოიჯარის მიერ მისი შეძენის შესაძლებლობით. მოიჯარეს, პრინციპში, უსასრულოდ შეუძლია გაიგრძელოს იჯარის ვადა, თავისი უფლებები გადასცეს იჯარის წევრებს, შევიდეს კოოპერატივში. მისი სამეურნეო საქმიანობა დიდი დამოუკიდებლობით ხასიათდება.

საფრანგეთში ფერმერული იჯარა ითვლება სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდობის ჩართვის კარგ საშუალებად, კაპიტალის კარგ დაბანდებად არა მიწის ყიდვაში, არამედ მეურნეობის განვითარებაში. სანახევრო იჯარა სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის გარანტიას აძლევს მათ, ვისაც პირველდაწყებითი კაპიტალი არა აქვთ.

ამასთანავე, სპეციალისტების აზრით, 80-იანი წლების კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო იჯარის შესახებ, ზედმეტად დაწვრილებით რეგლამენტაციას იძლევა ხელშეკრულების პირობების, შეზღუდვების და აკრძალვების, დაშვებული ოპერაციების და მათი ჩატარების პროცედურის შესახებ. ეს მოიჯარეთა გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს, სახელშეკრულებო თავისუფლებას ართმევს მათ. ფრანგი სპეციალისტების აზრით, იჯარის ვადის ავტომატური გაგრძელება ახალგაზრდა მიწათმოქმედთა საზიანოდ ხდება ზოგჯერ, მათ არ შეუძლიათ სოფლის მეურნეობაში ჩაებნენ თავისუფალი მიწების უქმარობის გამო. ერთი მიწათმფლობელის ხელში მეურნეობათა გაერთიანების შეზღუდვის დებულება ხშირად უფრო მსხვილი მაღალრენტაბელური მეურნეობების შექმნას აბრკოლებს. საიჯარო გადასახადის არაზომიერი ფარგლების დამკვიდრება ხშირად შრომის მწარმოებლურობის ზრდას და მეურნეობრიობის ეფექტიანობას აფერხებს. ფრანგი მეცნიერები აყენებენ საკითხს საიჯარო გადასახადის რაოდენობის რეგლამენტაციის შერბილების, იჯარის ავტომატურად გაგრძელების წესის გაუქმების, მოიჯარის მიერ მეურნეობაში გაწეული დანახარჯებისა და ზედმეტი ღირებულების სრული კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ.

ვფიქრობთ, საბაზრო ეკონომიკის გზებზე შემდგარი საქართველოსათვის გარკვეულად უნდა გამოგვადგეს ფრანგული სასოფლო-სამეურნეო იჯარის განვითარების ისტორია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, გამოვიყენოთ წარმატებით მოქმედი ეკონომიკური მექანიზმები და გავითვალისწინოთ საკანონმდებლო პოლიტიკის შეცდომები, რომელთაგან მთავარი აღმოჩნდა საიჯარო ურთიერთობათა ზედმეტი რეგლამენტირებულობა, ხელშეკრულების შეცვლა საიჯარო სამართლის ნორმით. სრულიად ნათელია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სახელმწიფოს მარეგულირებელ როლსა და პირად ინიციატივას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივ და არა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ საფუძველზე.

თენგიზ ქავთარაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, აგრობიზნესის ლაბორატორიის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად ვაქვეყნებთ პოლიტიკური ორგანიზაციების წესდებებს

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წესდება

პრეამბულა

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიზანია საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის თვისობრივად ახალ ეტაპზე პარტიათა მოქმედების კოორდინაცია და ურთიერთკონსულტაციების საფუძველზე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთო პოლიტიკური კურსის გატარება.

მრგვალი მაგიდის შემქმნელ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დასაშვებად მიაჩნიათ თანამშრომლობა ყველა ოფიციალურ, მშვიდობიან, ძალადობის უარმყოფელ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან. ამავე დროს გამორიცხული არ არის დიალოგი ცალკეულ ჯგუფებთან ან პიროვნებებთან.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ: 1. მუდმივი (დამფუძნებელი) წევრი ორგანიზაციები 4 სრულუფლებიანი წარმომადგენლით, წევრი ორგანიზაციები 2 სრულუფლებიანი წარმომადგენლით, ინდივიდუალური წევრები და მოწვეული სტუმრები.

წევრები:

მრგვალი მაგიდის მუდმივ წევრებად ითვლებიან:

1. საქართველოს ჰელსინკის კავშირი.
2. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება.
3. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

წევრი ორგანიზაციები:

1. ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
2. ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
3. ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი.
4. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

ის ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით სისტემატურად მონაწილეობენ მრგვალი მაგიდის მუშაობაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ მრგვალი მაგიდის შემადგენლობაში წევრ ორგანიზაციებთან.

მრგვალი მაგიდის მოქმედების პრინციპები:

1. მრგვალი მაგიდის სხდომებს უძღვება სპიკერი, სხდომის დროს მონაწილე პიროვნებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან იმოქმედონ სპიკერთან შეთანხმებით.
2. მრგვალი მაგიდის მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციები თავისუფალი არიან შიდა ორგანიზაციულ მოქმედებებში.
3. მრგვალი მაგიდის მონაწილე ორგანიზაციები თავისუფალი არიან პოლიტიკურ მოქმედებაში, თუკი მათი ქმედება ეწინააღმდეგება პოლიტიკური ბლოკის საერთო პოლიტიკურ კურსსა და მრწამსს.
4. ის პიროვნებები ან ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც დაარღვიეს მრგვალი მაგიდის მუშაობის პრინციპები, გაყვანილი იქნებიან მრგვალი მაგიდის შემადგენლობიდან დამფუძნებელი წევრების ხმათა უმრავლესობით.
5. მრგვალი მაგიდის მუდმივ წევრ ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ინდივიდუალური წევრები სათათბირო ხმის უფლებით.
6. ახალი წევრების მიღებასა და გარიცხვას წყვეტენ დამფუძნებელი ორგანიზაციები.

პოლიტიკურ პარტიათა ბლოკ მრგვალი მაგიდის განცხადება

გამომდინარე საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიის პრინციპებიდან, ქვეყანაში არსებული ფაქტობრივი ვითარებიდან და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ურთიერთთანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე ასვლის გათვალისწინებით, აგრეთვე, ერის ნების გამომხატველი ორგანოს, უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების საფუძველზე, მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ახალი წესდებისა და სამუშაო პრინციპების მიღების შემდეგ ვალდებული ვართ განვაცხადოთ.

1. ბათილად იქნეს ცნობილი მრგვალი მაგიდის ძველი წესდება (მიღებული თბილისში 1990 წლის 11 მაისს და გამოქვეყნებული „ახალგაზრდა ივერიელში“ 1991 წლის 15 მაისს).
2. გაყვანილ იქნეს მრგვალი მაგიდის შემადგენლობიდან „მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომელმაც დაარღვია ძველი წესდების მუხლები: №1 და №8, აგრეთვე ახალი წესდების მიხედვით მუხლი №8
3. დამფუძნებელ წევრებად ჩაითვალოს დარჩენილი სამი ორგანიზაცია.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წესდება

I. ზოგადი დებულებები

1. 1. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება (ტექსტში შემდგომში — საზოგადოება), არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და მის შემდგომ განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას, უპირატესად ქართველი ერის ინტერესების განუხრელ დაცვას.

1. 2. საზოგადოების თითოეული წევრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას იდეალებითა და მრწამსით.

1. 3. საზოგადოება თანამშრომლობს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელთა მოქმედების სტრატეგია, ტაქტიკა და მორალური სახე საზოგადოებისათვის მისაღებია.

1. 4. საზოგადოების იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ცენტრია ქალაქ თბილისში. საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების ფილიალი შეიძლება გაიხსნას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

1. 5. საზოგადოებას აქვს თავისი
— ჰიმნი;
— დროშა;
— გერბი;
— ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „სარანგი“;

2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზნები

2. 1. საზოგადოების ძირითადი მიზნებია:

ა) მიაღწიოს საქართველოს დამოუკიდებლობის სრულ აღდგენას;

ბ) იბრძოლოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ერთა ლიგის მიერ ცნობილი საზღვრების აღდგენისათვის;

გ) იღვაწოს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის;

დ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებულ ყველა დონის არჩევნებში;

ე) მოაწესრიგოს საქართველოში არსებული მწვავე დემოგრაფიული ვითარება;

ვ) წვლილი შეიტანოს საქართველოს ისტორიული ძეგლების, ფლორისა და ფაუნის აღდგენა-შენარჩუნებაში, ქართული კულტურის თავისუფალ, ეროვნულ ნიადაგზე განვითარებაში.

3. საზოგადოების წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

3. 1. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, აღიარებს საზოგადოების წესდებას, იხდის საწევრო შესატანს და არ არის სხვა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი.

3. 2. საზოგადოებაში გაწევრიანება ხდება პირველადი ორგანიზაციის მიერ, რომლის გადაწყვეტილებას ამტკიცებს (ან არ ამტკიცებს) ცენტრალური გამგეობა.

გამგეობის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საზოგადოების წევრად მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ ექვსთვიანი საკანდიდატო სტაჟი და საზოგადოების 2 ნამდვილი წევრის რეკომენდაცია.

3. 3. საზოგადოების წევრობა წყდება პირადი განცხადების საფუძველზე ან საზოგადოებიდან გარიცხვის გზით. გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პირველადი ორგანიზაცია, რომელსაც ამტკიცებს (ან არ ამტკიცებს) ცენტრალური გამგეობა.

3. 4. საზოგადოების ყველა წევრი თანასწორუფლებიანია.

საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) საზოგადოების ნებისმიერ ორგანოში დასვას და განიხილოს ყველა ის საკითხი, რომელიც ეხება საზოგადოების საქმიანობას;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისათვის საჭირბოროტო ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში;

გ) იქონიოს საზოგადოების მხარდაჭერა იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც განეკუთვნებიან მისი საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს;

დ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების არჩევით ორგანოებში;

ე) მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი ორგანოს საქმიანობის შესახებ, მისცეს მას კრიტიკული შეფასება, განცხადებებით და წინადადებებით შევიდეს საზოგადოების ნებისმიერ ორგანოში და მიიღოს მათგან პასუხი;

ვ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ორგანოთა მიერ მის მიერ წამოჭრილ ან მის შესახებ საკითხის განხილვაში;

3. 5. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) იხელმძღვანელოს საზოგადოების წესდებით;

ბ) მთელი თავისი ნიჭი და უნარი მოახმაროს საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლეც კი არ დაიშუროს ერის საკეთილდღეოდ;

გ) შეასრულოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები და დავალებები, დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი.

4. საზოგადოების მართვის ორგანოები

4. 1. [illegible]

4. 2. [illegible] ვის წესს ადგენს ცენტრალური გამგეობა.

ყრილობაზე გადაწყვეტილებები მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით ხმათა 2/3 თანხმობით.

4. 3. ყრილობა წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების თავმჯდომარის ანგარიშს;

ბ) იღებს საზოგადოების წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

გ) ირჩევს საზოგადოების გამგეობას და თავმჯდომარეს;

დ) იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე;

ე) წყვეტს საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხს.

4. 4. საზოგადოების კონფერენცია იმართება წელიწადში ერთხელ. ყრილობათა შორის პერიოდში კონფერენციის დელეგატები აირჩევიან საზოგადოების გამგეობის მიერ დადგენილი წესით.

კონფერენცია:

ა) იხილავს საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხებს და განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) შეაქვს ცვლილებები ცენტრალური გამგეობის შემადგენლობასა და წესდებაში, რასაც ამტკიცებს მორიგი ყრილობა;

გ) ისმენს პირველადი ორგანიზაციების ანგარიშს;

4. 5. საზოგადოების ცენტრალური გამგეობა წყვეტს შემდეგ საკითხებს;

ა) ორგანიზაციას უკეთებს ყრილობისა და კონფერენციის გადა- [illegible] ბს ან გარიცხავს საზოგადოების წევრებს; [illegible] საზოგადოების გამგეობის სხდომ[illegible] სულ მცირე თვეში [illegible] გადაწყვეტილება მიიღება [illegible] კენჭისყრით ხმათა [illegible] უმრავლესობით. [illegible] სხდომებს უძღვება [illegible] თავმჯდომარე. [illegible] გადაწყვეტილებით [illegible] გამგეობაში შეიყვანონ ახ[illegible] კოოპტაციის წესით.

[illegible] საზოგადოების თავმჯდ[illegible] მართავს საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას;

ბ) წარუდგენს გამგეობას კანდიდატურებს საზოგადოების დანიშვნით თანამდებობებზე;

გ) განაგებს საზოგადოების ფინანსებსა და მეურნეობას;

დ) წარმოადგენს საზოგადოებას ნებისმიერ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ურთიერთობებისას, მოქმედებს საზოგადოების სახელით.

5. საზოგადოების ფულადი სახსრები

5. 1. საზოგადოების ფულადი სახსრები იქმნება;

ა) საზოგადოების წევრთა საწევრო ანარიცხებისაგან;

ბ) საგამომცემლო საქმიანობით მიღებული შემოსავლისაგან;

გ) ორგანიზაცია-დაწესებულებათა და ინდივიდუალურ პირთა ნებაყოფლობითი შემოწირულობებისაგან;

დ) სხვა შემოსავლებისაგან, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

5. 2. საზოგადოების ფულად სახსრებს განკარგავს საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობისა და გამგეობის წინაშე.

6. საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით დელეგატთა საერთო რიცხვის 3/4 თანხმობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მისმინეთ

რასაცა გასცემ შენია...

როგორც იქნა თვალი აგვეხილა და მივხვდით, რომ საჭირო იყო „საუკუნის ექსპერიმენტისთვის“ წერტილი დაგვესვა: საწერ მაგიდასთან გამოგონებულმა ეკონომიკურმა წყობამ კრახი განიცადა და რამდენიმე თაობის მსხვერპლად შეწირვის შემდეგ იძულებული ვხდებით დავუბრუნდეთ კაცობრიობის განვითარების ნორმალურ, ევოლუციურ გზას.

დაბრუნებით კი ვუბრუნდებით, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ და იმის იმედს ნუ მივეცემით, თითქოს ორ-სამ დღეში მივაღწევთ ნანატრ სიმშვიდესა და კეთილდღეობას. ყველაფერს დრო სჭირდება. მაგრამ ამ დროის განმავლობაში უნდა ყოველნაირად ვეცადოთ, რომ ნაკლები შეცდომები დავუშვათ, რათა მიზნისკენ სვლა ზიგზაგებით არ გამოგვივიდეს. შეცდომების დაშვება კი საკმაოდ მრავლად არის მოსალოდნელი: ჩვენ ხომ ყველანი იმ თაობას ვეკუთვნით, რომელიც გლობალურ საექსპერიმენტო იზოლა- [illegible] ლი ველოსიპედების გამოგონებით არ დავიწყოთ. რაც უკვე გამოგონებული და გარკვეულია, მას ჩვენთან მხოლოდ ათვისება და გამოყენება სჭირდება, მეტი არაფერი.

ახლა კონკრეტულ საკითხს შევეხოთ.

ჩვენი დაინტერესების საგანია პრივატიზაციის კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 1 ოქტომბრიდან. ამ კანონის ამოქმედება უეჭველად გააქტიურებს ყველა იმ პიროვნებას, რომელიც კერძო ინიციატივის მოყვარულია და არაფრის გამკეთებელ და არაფრის მთქმელ კოლექტივში გათქვეფის მსურველი არ არის. ეს არის იმის საწინდარი, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავიდეთ ეკონომიკური განვითარების ახალ გზაზე.

ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში [illegible] ბილო მდგომარეობაში აღმოჩენდეთ. მოსალოდნელია არა მარტო შენობათა გამოსასყიდი ფასების ზრდა, არამედ მმართველობის ძველი სტრუქტურების არსებობის პირობებში (და რაც მთავარია, ფსიქოლოგიური ხასიათის ინერციის წყალობით), მრავალი ხელოვნური ბარიერის შექმნა.

ამჯამად, გარკვეულ ანალოგიაზე დაყრდნობით, მსურს ხელისუფლების საკითხის მოგვარების ერთ-ერთი ვარიანტი შევთავაზო. ჯერ თვითონ ანალოგიის შესახებ!

70-იანი წლების დასაწყისისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე უფრო „უპატრონო“ ქალაქად ბალტიმორი ითვლებოდა. აქ მაღალი იყო უმუშევრობის დონე, მეფობდა ანტისანიტარია, დამნაშავეობა და სხვა. რა თქმა უნდა, [illegible] ამერიკული სტა[illegible]ხედვით, თორემ სხვა [illegible] ბალტიმორი [illegible]. საკუთარ [illegible] გამოწვეული იყო [illegible] ბალტიმორი წარმოად[illegible] ევროპის ქვე[illegible] ემიგრაციის [illegible] პუნქტს. [illegible] პირობებში, როდე[illegible] მოსახლეობის მნიშ[illegible] ნაწილი მუდმივ მიგრაციაშია, მათ ადგილისადმი კერძომესაკუთრული ინტერესები არა აქვთ. ბალტიმორი მათთვის მხოლოდ დროებითი თავშესაფარია, არ წუხნავდნენ მასზე და როდესაც დრო მოვიდოდა, სრულიად დაუფიქრებლად ტოვებდნენ მას. როგორც ჩანს, მოსახლეობის ამგვარი ნაწილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და ეს წარუშლელ კვალს ასვამდა ქალაქის ცხოვრებას.

ასე გაგრძელდა 1972 წლამდე, სანამ ქალაქის სათავეში არ ჩადგა ახალი მერი, რომელმაც გადაწყვიტა ძირეულად გარდაექმნა ყველაფერი. როგორ ფიქრობთ, რით დაიწყო მან თავისი ჩანაფიქრის განხორციელება? როგორც ჰუმანური და ამერიკულად მოაზროვნე ადამიანმა, კარგად იცოდა, რომ უპირველესად საჭირო იყო მოქალაქეებში აღეძრა ძლიერი მესაკუთრული გრძნობა. უამისოდ ვერავითარი დეკლარაციებით ვერ შეძლებდა წარმატების მიღწევას. მისი პირველივე ნაბიჯი ამ თვალსაზრისით უაღრესად პრაქტიკული იყო: მოსახლეობის მიჰყიდეს ფედერალური უწყების საკუთრებაში არსებული ყველა ორ და სამსართულიანი სახლი, გამოსასყიდი ფასი... 1 (ერთი) დოლარი! მყიდველს თუ სურდა, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის მერია იძლეოდა შეღავათიან სესხს. თავის მხრივ, მყიდველი კისრულობდა ვალდებულებას, რომ მის მიერ ნაყიდ შენობას ათი წლის განმავლობაში არც გაყიდიდა და არც გააქირავებდა, არამედ თვითონ იცხოვრებდა. ამ ღონისძიებამ თავისი ნაყოფი გამოიღო: მოსახლეობა დამკვიდრდა ერთ ადგილზე, სამუშაოსაც უფრო სერიოზულად მოეკიდა, ხოლო ათი წლის შემდეგ არც უფიქრიათ ერთ დოლარად ნაყიდი სახლების მიტოვება.

ახლა ჩვენს სინამდვილეს დავუბრუნდეთ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოსალოდნელია შენობებზე ფასების ზრდა და ბიუროკრატიული ხასიათის ბარიერების მომრავლება. ჩემი აზრით, მთავრობის კომისიამ, რომელიც ამ საკითხების მოგვარების მიზნით არის შექმნილი, კურსი უნდა აიღოს იმ მიმართულებით, რომ ყველა პიროვნებას თუ ორგანიზაციას, რომელიც დაინტერესებულია წარმოებისთვის საჭირო ფართობის დაკავებით, ეს ფართობი უნდა გადაეცეს რაც შეიძლება შეღავათიანი პირობებით. რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებებით სახელმწიფო სალარო სეიფებს ვერ გაავსებს, მაგრამ ამით ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას და უკვე მეორე საფეხურზე, მათთვის შეწერილი სახელმწიფო გადასახადი მრავალჯერ აანაზღაურებს პირველ საფეხურზე მიღებულ ზარალს.

ჩემი მოწოდებაა: გამოვიყენოთ სხვების გამოცდილება!

როლანდ ბურჭულაძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში

ისმენენ საქმეს



რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში განახლდა ტორეზ კულუმბეგოვის საქმის მოსმენა. გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფილ აღმასკომის თავმჯდომარეს ბრალად ედება წინასწარგანზრახული ქმედობა, რომელიც იწვევდა ეროვნულ მტრობასა და შუღლს, ძალაუფლებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ცალკეულ პირებზე თავდასხმის მოწყობა და მკვლელობა, ტყვიაწამლის უკანონო შენახვა.

სხდომის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი ადილინა ხონიაკინა, პროკურორი — კოტე ქაბარია, მსაჯულები — ხოხო ბურდილაძე და ლევონ საკიანი, განსასჯელს იცავენ სანქტპეტერბურგელი ადვოკატები იური შმიდტი და ლეონიდ ხეიფნიაკი.

სურათებზე: განსასჯელთა სკამზე; უზენაესი სასამართლოს დარბაზში.

მ. ჯაფარიძის და ზ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

ბუნების დაცვის შესახებ

თავი I

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონმდებლობის ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონმდებლობის ამოცანებია: ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის რეგულირება გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში; ბუნებრივ სიმდიდრეთა შენარჩუნება; მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება; აღწარმოება; ბუნებაზე სამეურნეო და სხვა საქმიანობით გამოწვეული მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება; გარემოს გაჯანსაღება, ამ სფეროში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვის კანონმდებლობა

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნებადაცვით ურთიერთობებს კონსტიტუციის შესაბამისად არეგულირებს ეს კანონი, აგრეთვე მიწის, წიაღის, წყლის, ტყის, ატმოსფერული ჰაერის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 3. ბუნების დაცვის პრინციპები

ბუნების დაცვა საქართველოს რესპუბლიკაში ემყარება იმ პრინციპებს, რომელთა განუხრელი შესრულება უზრუნველყოფს ბუნების დაცვის სფეროში დასახული მიზნების განხორციელებას. ეს პრინციპებია: კანონიერება, საჯაროობა, გეგმიურობა, ბუნებადაცვითი ღონისძიებების განხორციელების სისტემატურობა, კომპლექსურობა და ოპერატიულობა; პირადი და სამეურნეო ინტერესების ბუნებადაცვით მოთხოვნებთან შეთავსება; სამეურნეო და სხვა საქმიანობაში ბუნების დაცვის ინტერესების უპირატესობა ეკონომიკურ ინტერესებთან; ბუნებათსარგებლობისას გარემოს პოტენციური შესაძლებლობის და ბუნებრივი პროცესების განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება; სტიმულირების, კონტროლისა და პასუხისმგებლობის გარდუვალობა.

მუხლი 4. ბუნების დაცვის ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის ობიექტებია ბიოსფერო, ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემები და მათი კომპონენტები:

— მიწა, მისი წიაღი, ნიადაგის საფარი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; ატმოსფერული ჰაერი; მცენარეული საფარი (მათ შორის ტყე), ცხოველთა სამყარო (მათ შორის თევზი), ტიპიური და იშვიათი ლანდშაფტები, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შავი ზღვის ტერიტორიული წყლები, ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი;

— ბუნებრივი ნაკრძალები და აღკვეთილები, ეროვნული და ბუნებრივი პარკები, ორგანული და არაორგანული ბუნების ძეგლები, იშვიათი ან გადაშენების პირას მისული მცენარეები და ცხოველები (მათ შორის თევზები).

მუხლი 5. ბუნების დაცვის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვა წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც დაფუძნებულია ბუნებრივი რესურსების მეცნიერულად დასაბუთებულ აღრიცხვის სისტემაზე და მოიცავს მათ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ შეფასებას, ბუნებადაცვითი ღონისძიებების დაფინანსებას, ნორმირებასა და რეგულირებას, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, დაგეგმვას და პროგნოზირებას, გარემოზე ზემოქმედების ხასიათის შეფასებას, კონტროლს კანონმდებლობის დაცვაზე, ამ სფეროში მოსახლეობის სათანადო განათლებასა და ბუნებადაცვითი კანონმდებლობის პროპაგანდას.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენცია ბუნების დაცვის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის ურთიერთობათა რეგულირება საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენციაა და გამომდინარეობს მისი საკუთრების უფლებიდან მიწაზე, წიაღზე, წყლის რესურსებზე, საჰაერო აუზზე, მცენარეულ საფარზე (მათ შორის ტყეზე) და ცხოველთა სამყაროზე (მათ შორის თევზზე), შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებზე, ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას ბუნების დაცვის სფეროში განეკუთვნება: საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული და საერთაშორისო ბუნებადაცვითი პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

ბუნების დაცვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რესპუბლიკის სახელმწიფო ეკოლოგიური პროგრამების შემუშავება და კონტროლი მათ განხორციელებაზე;

რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტების შემუშავება და კონტროლი მათ შესრულებაზე;

უცხოეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმების შემუშავება და მათი განხორციელება; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისას წამოჭრილი უთანხმოებების მოგვარება, ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობა.

ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო აღრიცხვა და მდგომარეობის შეფასება, ბუნებრივი რესურსების რესპუბლიკური კადასტრების წარმოება; გარემოსთვის მავნე ობიექტების აღრიცხვა;

რესპუბლიკური კომპლექსური და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ბუნებადაცვითი საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით თანხების ნებაყოფლობითი კოოპერირების ორგანიზება;

ბუნებრივ რესურსებზე ფასების დადგენა, მავნე ნივთიერებათა გარემოში გაფრქვევისა და ჩანადენებისათვის გადასახდელების განსაზღვრა;

მავნე ზემოქმედების მქონე ნივთიერებათა გაფრქვევების და ჩანადენების ზღვრულად დასაშვები ნორმატივების, ქიმიურ ნივთიერებათა შენაერთების გამოყენების და კვების პროდუქტებში მათი ნარჩენი რაოდენობის ნორმატივების დადგენა;

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე ნებართვების გაცემა;

ბუნების დაცვის რესპუბლიკური ფონდის შექმნა და თანხების მიზნობრივი ხარჯვა;

ბუნებადაცვით საქმიანობაზე და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლისა და ექსპერტიზის განხორციელება;

გარემოსათვის მავნე ობიექტების საქმიანობის დროებით შეჩერება, შეწყვეტა, ან პროფილის შეცვლა;

სანაკრძალო საქმის ორგანიზაცია და მართვა;

მოსახლეობის სათანადო აღზრდა-განათლების უზრუნველყოფა;

სხვა საკითხების რეგულირება.

მუხლი 7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენცია ბუნების დაცვის სფეროში

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენციას ბუნების დაცვის სფეროში განეკუთვნება:

ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა და მდგომარეობის შეფასება, გარემოსათვის მავნე ობიექტების აღრიცხვა;

ბუნების დაცვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რეგიონალური და ტერიტორიული პროგრამების შემუშავება;

ბუნების დაცვის ღონისძიებების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბუნების დაცვის მართვის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახსრების ნებაყოფლობითი კოოპერირების ორგანიზაცია;

საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, გარემოს დაცვის კონტროლი;

გარემოსათვის მავნე ობიექტების საქმიანობის დროებით შეჩერება, შეწყვეტა, ან პროფილის შეცვლა;

სანაკრძალო საქმის ორგანიზებაში მონაწილეობა;

ბუნების დაცვის პროპაგანდა;

სხვა საკითხების განხილვა, რომლებიც არ განეკუთვნებიან საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენციას.

მუხლი 8. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენცია ბუნების დაცვის სფეროში

პრეფექტურა უფლებამოსილია თავისი ტერიტორიის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები იმ ობიექტების მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის შეწყვეტის შესახებ, რომელშიც არ არის ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა; შეაჩეროს იმ ობიექტების საქმიანობა, რომლებიც არღვევენ კანონმდებლობას ბუნების დაცვის შესახებ; შექმნას არასაბიუჯეტო ფონდები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისათვის; დაუწესოს მის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს დიფერენცირებული გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება; განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

თავი II

მოქალაქეთა უფლება უვნებელ და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაზე

მუხლი 9. მოქალაქეთა უფლება ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაზე

მოქალაქეს უფლება აქვს იცხოვროს მისი ჯანმრთელობისათვის ჯანსაღ გარემოში.

ეს უფლება უზრუნველყოფილია: რესპუბლიკის საწარმოო ძალთა და წარმოების საშუალებების განვითარებისა და განთავსების პროცესში ბუნებადაცვით მოთხოვნათა უცილობელი გათვალისწინებით;

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას გარემოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებით;

მოქალაქეთა მიერ ბუნების დაცვის ინტერესების საზიანოდ გარემოს გამოყენების დაუშვებლობით;

გარემოზე მოქალაქეთა უფლებების განხორციელება შეთავსებულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და აღწარმოებასთან, ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებასთან.

მუხლი 10. მოქალაქეთა უფლება იყოს დაცული გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან

მოქალაქეს უფლება აქვს აინაზღაუროს მისთვის მიყენებული ზარალი, რომელიც გამოწვეულია გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ავარიებით, კატასტროფებით, ან საწარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციების სამეურნეო და სხვა საქმიანობით.

ეს უფლება უზრუნველყოფილია:

გარემოს მდგომარეობის ნორმირებით, ბუნებისათვის მავნე საქმიანობის აღკვეთის და გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებებით, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ბუნების სტიქიური ძალების ზემოქმედების თავიდან აცილებით და მათი შედეგების ლიკვიდაციით;

გარემოს მდგომარეობაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლით და ბუნებადაცვითი კანონმდებლობით.

გარემოს გაბინძურების და ბუნებაზე სხვა მავნე ზემოქმედების, მათ შორის ავარიებისა და კატასტროფების შედეგად მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალის, ანაზღაურება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. მოქალაქეთა უფლება ინფორმაციაზე გარემოს მდგომარეობის შესახებ

მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს სრული და უტყუარი ინფორმაცია მიწის, წიაღის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, მცენარეული საფარის (მათ შორის ტყის), ცხოველთა სამყაროს (მათ შორის თევზის) მდგომარეობის, რადიაციული ვითარების, მძიმე მეტალებით, შხამქიმიკატებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების შესახებ, როგორც მთლიანად რესპუბლიკის, ისე ცალკეული რეგიონების, რაიონებისა და ქალაქების მიხედვით.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შესაბამის ტერიტორიებზე გარემოს მდგომარეობისა და მისი ცვალებადობის ტენდენციების შესახებ რეგულარული ინფორმირებით.

გარემოს მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, პრეფექტურები დაუყოვნებლივ აცნობებენ მოსახლეობას შექმნილი ვითარების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ზიანის თავიდან აცილების წესის შესახებ.

მუხლი 12. ბუნებადაცვით სფეროში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაში და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება

მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობდეს გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაში, რომელთა განხორციელება დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედებასთან და განახორციელოს მათ შესრულებაზე კონტროლი.

ეს უფლება უზრუნველყოფილია ამ სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების პროექტების გამოქვეყნებით და მათი საჯარო განხილვით, პროექტებზე საზოგადოებრივი ექსპერტიზის განხორციელებით, უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოქალაქეთა დასაბუთებული წინადადებების გათვალისწინებით.

თავი III

ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვა

მუხლი 13. ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვის ორგანოები და მათი მიზნები

საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვას ახორციელებენ: საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო და მისი ორგანოები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

მათი მიზნებია: სახელმწიფო ეკოლოგიური პროგრამების და სხვა ღონისძიებების კომპლექსურად შემუშავება; მათი შესრულებისა და კონტროლის ორგანიზაცია; ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება.

მუხლი 14. საჯაროობა და კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან

ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვის ორგანოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საჯაროობის პირობებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში.

ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, რომელთა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები სარგებლობენ ბუნებრივი რესურსებით, ვალდებულნი არიან გარემოს მდგომარეობისა და ბუნებადაცვითი ღონისძიებების რეალიზაციის შესახებ მიაწოდონ მოსახლეობას დროული და სრული ინფორმაცია.

თავი IV.

ბუნების დაცვის უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმი

მუხლი 15. ბუნების დაცვის უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმი და მისი ამოცანები

ბუნების დაცვის უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმი წარმოადგენს იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა და საშუალებათა სისტემას, რომლის ამოცანაა ბუნებადაცვითი საქმიანობის დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ამ სფეროში განსაზღვრული მიზნობრივი ფონდების შექმნა, საგადასახადო პოლიტიკის რეალიზაცია, აგრეთვე ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების მიხედვით მატერიალური და ზემოქმედების შესაბამისი ღონისძიებების გამოყენება.

მუხლი 16. ბუნებისდაცვითი ღონისძიებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საჭირო ზომებს ღებულობენ ბუნებისდაცვითი ღონისძიებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

ბუნების დაცვის დაფინანსების წყაროებია:

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციების ფონდები;

საბანკო კრედიტები;

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები;

ბუნების დაცვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ფონდები:

მოქალაქეთა (მათ შორის უცხოელთა) ნებაყოფლობითი შენატანები;

მუხლი 17. ფულადი გადასახადები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის

ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის წესდება შემდეგი ფულადი გადასახადები:

— გადასახადები ბუნებრივი რესურსებით დადგენილი ნორმების ფარგლებში გამოყენებისათვის;

— გადასახადები ბუნებრივი რესურსების ზენორმატიული ოდენობით გამოყენებისათვის;

— გადასახადები გარემოს დაბინძურებისათვის დადგენილ ან დროებით შეთანხმებული ნორმატივების ფარგლებში.

— გადასახადები გარემოს ზენორმატიული დაბინძურებისათვის;

ბუნებათსარგებლობისათვის გადასახადების სტრუქტურასა და ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევისა და ჩანადენებისათვის გადასახდელების გადახდა არ ათავისუფლებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებების შესრულებისაგან, აგრეთვე ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 18. ბუნების დაცვის ფონდები

ბუნების დაცვისა და გაჯანსაღების გაუთვალისწინებელი ხარჯების ბუნების დანაკარგების აღდგენისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკომპენსაციოდ იქმნება ბუნების დაცვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ფონდები.

აღნიშნული ფონდები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროებთან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები შესაბამის სამსახურებთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევების და ჩანადენებისათვის გადასახდელების, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციო ამონაგები თანხებიდან, ჯარიმებიდან და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შეწირულობებისა და სხვა წყაროებიდან.

აღნიშნული ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულებით.

აკრძალულია ბუნების დაცვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ფონდების სახსრების ხარჯვა სხვა მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის ბუნებისდაცვით საქმიანობასთან.

მუხლი 19. ბუნების დაცვის სადაზღვევო ფონდები

სტიქიური უბედურებების, დიდი ავარიებისა და კატასტროფების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან იქმნება ბუნების დაცვის სადაზღვევო ფონდები.

აღნიშნული ფონდები იქმნება სახელმწიფო ასიგნებათა, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ანარიცხების ხარჯზე, რომელთა საქმიანობა საფრთხეს უქმნის გარემოს და მოსახლეობას.

აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 20. ბუნების დაცვის საზოგადოებრივი ფონდები

ბუნების დაცვის საზოგადოებრივი ფონდები ყალიბდება მოსახლეობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი შენატანებისა და სხვა სახსრების საფუძველზე და იხარჯება ბუნების დაცვის მიზნებისათვის.

აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ფონდის განმკარგულებლის მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 21. ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა და სოციალურ-ეკონომიკური შეფასება

სახელმწიფო ბუნებადაცვითი ორგანოები სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებთან ერთად, დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, რომელთა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები წარმოადგენენ ბუნებათმოსარგებლეებს, აწარმოებენ ბუნებრივი რესურსების და მათი გამოყენების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვას, ახდენენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ შეფასებას.

ამ მიზნით იწარმოება მიწის, წიაღის, წყლის, ტყის და სხვა მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს (მათ შორის თევზის მარაგის) განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების და ობიექტების სახელმწიფო კადასტრები.

მუხლი 22. ბუნების დაცვის პროგნოზირება

ბუნების დაცვის მიმდინარე და გრძელვადიანი პროგნოზირება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებათა შესაბამისად სახელმწიფო ბუნებადაცვითი პროგრამების, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების და საწარმოო ძალთა განვითარებისა და განთავსების გენერალური სქემების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკისა და ცალკეული რეგიონების ბუნებრივ სარესურსო პოტენციალის, გარემოს მდგომარეობისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბუნების დაცვის ტერიტორიული პროგნოზირება ხორციელდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ.

ბუნების დაცვის სფეროში დარგობრივი პროგნოზირება ხორციელდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ ტერიტორიათა და დარგობრივი ინტერესების გათვალისწინებით.

თავი V.

გარემოს მდგომარეობის ნორმირება

მუხლი 23. გარემოს მდგომარეობის ნორმირების ზოგადი მოთხოვნები

გარემოს მდგომარეობის ნორმირება წარმოებს მასზე ზემოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიზნით.

გარემოზე მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები და მათი დადგენის მეთოდები განისაზღვრება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით მსოფლიო მეცნიერების მიღწევების საფუძველზე და მტკიცდება ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

გარემოს ხარისხის ნორმატივების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევა, ჩანადენები ან გარემოზე სხვა მავნე ზემოქმედება შეიძლება შეიზღუდოს, შეჩერდეს ან აიკრძალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ან საქართველოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებებით.

მუხლი 24. მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმატივები

ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის გამაბინძურებელი მავნე ნივთიერებების, მათ შორის დაავადებელი მიკროორგანიზმებისა და სხვა მავნე ბიოლოგიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები დგინდება ადამიანის ჯანმრთელობის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს (მათ შორის თევზის) დაცვის მიზნით.

აღნიშნულ ნორმატივებს და მათი განსაზღვრის მეთოდებს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თავისებურების, აგრეთვე ცალკეული ტერიტორიების განსაკუთრებული სოციალური დანიშნულების გათვალისწინებით, როგორიცაა ნაკრძალები, აღკვეთილები, ეროვნული პარკები, საკურორტო და რეკრეაციული ზონები, დგინდება მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები უფრო მკაცრი ნორმატივები.

მუხლი 25. მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებისა და ჩანადენების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები.

მავნე ნივთიერებათა დასაშვები გამონაფრქვევებისა და ჩანადენების, მათ შორის იმ პათოგენური მიკროორგანიზმების და სხვა ბიოლოგიურად მავნე ნივთიერებების ნორმატივები, რომლებიც აბინძურებენ ნიადაგს, წყლებს, ატმოსფერულ ჰაერს, დგინდება ყველა საწარმოო ობიექტებიდან გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, გაბინძურების თითოეული წყაროს ინვენტარიზაციის მონაცემებით, გარემოში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მოქმედი ნორმატივებით და გარემოს ფონური გაბინძურების გათვალისწინებით.

აღნიშნულ ნორმატივებს და მათი განსაზღვრის მეთოდებს ამუშავებენ და ამტკიცებენ საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

მუხლი 26. ხმაურის, ვიბრაციის, მაგნიტური ველებისა და სხვა ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები.

ხმაურის, ვიბრაციის, მაგნიტური ველების და სხვა ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები დგინდება ისეთი სიდიდეებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს დაცვას და სიცოცხლისათვის ხელსაყრელ გარემოს.

აღნიშნულ ნორმატივებს ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

მუხლი 27. რადიაციული უსაფრთხოების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები

გარემოში და კვების პროდუქტებში რადიაქტიურ ნივთიერებათა და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო რადიაციული გამოსხივების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები დგინდება ისეთი სიდიდეებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, აგრეთვე მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

ამ ნორმატივებს ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

მუხლი 28. მინერალური სასუქების, პესტიციდების და სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ნორმები

სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში და მეურნეობის სხვა დარგებში მინერალური სასუქების, პესტიციდების და სხვა ქიმიური ნივთიერებების, გამოყენების ნორმებს ადგენენ სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 29. სტანდარტები ფართო მოხმარებისა და წარმოების პროდუქციაზე

გარემოსადმი მავნე ზეგავლენის მქონე ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიაზე, მასალებზე, ნივთიერებებზე, ფართო მოხმარებისა და წარმოების პროდუქციაზე, სტანდარტები დგინდება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსადმი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

აღნიშნულ სტანდარტებს, მათი განსაზღვრის მეთოდებსა და პროდუქციის სახეებს, შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან შეთანხმებით.

მუხლი 30. გარემოს დატვირთვის ზღვრულად დასაშვები ნორმატივები

ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების ფორმირების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს წესდება რეგიონის გარემოს დატვირთვის ზღვრულად დასაშვები ნორმატივები, გარემოს პოტენციური შესაძლებლობების, ტერიტორიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გათვალისწინებით, აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის, ეკოლოგიური სისტემების დაზიანებისა და გარემოში შეუქცევადი ცვლილებების დაუშვებლობის მიზნით.

აღნიშნულ ნორმატივებს ამუშავებენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 31. სანიტარული დაცვითი ზონების ნორმატივები

სანიტარული დაცვითი ზონების ნორმატივები დგინდება წყალსატევების და წყალმომარაგების სხვა წყაროების, საკურორტო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ზონების, დასახლებული პუნქტებისა და სხვა ტერიტორიების გაბინძურებისაგან, აგრეთვე მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით.

აღნიშნულ ნორმას და მათი დაცვის რეჟიმს ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

თავი VI.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა

მუხლი 32. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ამოცანები

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება გარემოს მდგომარეობის ნორმატივებსა და ბუნებისდაცვით კანონმდებლობასთან სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის შესაბამისი დადგენის მიზნით. იგი მოქმედებს მისი ჩატარების აუცილებლობის, მეცნიერული დასაბუთებულობის, სისრულის, ობიექტურობის და კანონიერების, საჯაროობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 33. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის აუცილებლობა

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს ბუნების დაცვის აუცილებელ ღონისძიებას, რომელიც ნებისმიერი სამეურნეო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტის ფუნქციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო, რომლის მიერ დამტკიცებული დასკვნა წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულება.

მუხლი 34. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტები

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტებია:

ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციები, პროგრამები, საწარმოო ძალების განვითარებისა და განთავსების სქემები, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმები, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტერიტორიული კომპლექსური სქემები, საწარმოთა მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებანი და იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტების განთავსებისა და მშენებლობის პროექტები, რომლებიც შესაძლო ზეგავლენას მოახდენენ გარემოსა და მის მახასიათებლებზე, გამწმენდი ნაგებობები, დანადგარები, ტექნოლოგიური პროცესები, კონტროლის საშუალებები, ნივთიერებები და პრეპარატები, ახალი პროდუქცია და მასალები, ნორმატიულ-ტექნიკური, მეთოდური და სხვა დოკუმენტები.

მუხლი 35. სახელმწიფო ეკოლოგიურ-სანიტარული ექსპერტიზა

სახელმწიფო ეკოლოგიურ-სანიტარული ექსპერტიზა ტარდება ადამიანის ჯანმრთელობის მოშლასა და გარემო პირობების გაუარესებას შორის უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის მიზნით.

სახელმწიფო ეკოლოგიურ-სანიტარული ექსპერტიზა ინიშნება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო ორგანოების სასამართლოსა და საარბიტრაჟო სასამართლოს ინიციატივით.

ექსპერტის ფუნქციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

მუხლი 36. სამეცნიერო საზოგადოებრივ-ეკოლოგიური ექსპერტიზა

სამეცნიერო საზოგადოებრივ-ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება სამეცნიერო დაწესებულებებისა და კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ, მათი ინიციატივით ან კიდევ პროექტის დამკვეთის განაცხადით. სამეცნიერო და საზოგადოებრივ-ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას მხოლოდ რეკომენდაციის ძალა აქვს და იგი იურიდიულად სავალდებულო ხდება საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

მუხლი 37. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შეუსრულებლობის შედეგები და ექსპერტის პასუხისმგებლობა არასწორი დასკვნისათვის

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, ხოლო მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ დასკვნას, შესრულებას არ ექვემდებარება.

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და წევრები პასუხს აგებენ ექსპერტიზის დასკვნების სისწორესა და სისრულეზე.

თავი VII.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ნაგებობების და სხვა ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში შეყვანის ბუნებადაცვითი მოთხოვნები

მუხლი 38. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ნაგებობების და სხვა ობიექტების განთავსების პროექტირების, მშენებლობის რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში შეყვანის საერთო ბუნებადაცვითი მოთხოვნები

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, ენერგეტიკაში, წყლის მეურნეობაში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობაში, ელექტროგადამცემი, კავშირგაბმულობის ხაზების გაყვანის, მილგაყვანილობის, არხების და სხვა ობიექტების იმ განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, გაფართოების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის დროს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენენ გარემოს მდგომარეობაზე, უნდა შესრულდეს ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, გათვალისწინებული უნდა იქნას ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის, გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებები.

მითითებულ მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს ეკოლოგიურად მავნე ობიექტების შეჩერებას, შეზღუდვას ან ეკოლოგიურად მავნე ობიექტების განთავსებასთან, პროექტირებასთან, მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით ყოველგვარი სამუშაოების შეწყვეტას — საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის ან საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე. ერთდროულად შესაბამისი ბანკის დაწესებულებების მიერ შეწყდება აღნიშნული სამუშაოების ფინანსირება დარღვევების აღმოფხვრამდე.

მუხლი 39. გარემოზე ზეგავლენის მქონე პროექტების დამუშავება და რეალიზაცია.

მსხვილი სამრეწველო და სხვა დანიშნულების გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ობიექტების პროექტების დამუშავება და რეალიზაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს მიერ დანიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სახალხო განხილვის, ან რეფერენდუმის შედეგების მიხედვით.

აკრძალულია ისეთი სახალხო-სამეურნეო საწარმოო ობიექტების და სხვა დანიშნულების პროექტების დამუშავება და რეალიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან, კლიმატისა და დედამიწის ოზონის ფენის არასასურველ ცვლილებებთან, მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური ფონდის განადგურებასთან, ადამიანის ჯანმრთელობისათვის. გარემოსათვის და საზოგადოების ცხოვრებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებასთან.

თავი VIII.

ზოგადი ბუნებადაცვითი მოთხოვნები

მუხლი 40. ზოგადი ბუნებადაცვითი მოთხოვნები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის განხორციელების, აგრეთვე შენობა-ნაგებობებისა და სხვა ობიექტების ექსპლუატაციის პროცესში.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ვალდებულნი არიან განახორციელონ ეფექტური ღონისძიებები ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და აღწარმოების ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისა და გარემოს გაჯანსაღების მიზნით.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები უზრუნველყოფენ გარემოს მდგომარეობის დადგენილი ნორმატივების დაცვას, გამწმენდი ნაგებობების, დანადგარების და მათი საკონტროლო საშუალებების შეუფერხებელ და ეფექტურ მუშაობას. ნარჩენების გაუვნებლობას და გამოყენებას, გარემოსათვის უსაფრთხო ტექნოლოგიასა და წარმოებაზე გადასვლას, ახორციელებენ ბუნებრივი ეკოსისტემების პროდუქტიულობის, მიწის, წიაღის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების აღდგენის ღონისძიებებს.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების ექსპლუატაციის დროს ბუნებადაცვითი მოთხოვნების დარღვევა იწვევს მათი საქმიანობის შეზღუდვას, შეჩერებას, შეწყვეტას საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად. ამავე დროს წყდება საბანკო დაწესებულებათა მიერ აკრძალული ან შეჩერებული საქმიანობის დაფინანსება მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებამდე.

გარემოსათვის მავნე ობიექტების საქმიანობის პროფილის შეცვლა ხდება სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 41. ბუნების დაცვა მავნე ბიოლოგიური ზემოქმედებისაგან

დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, ნაგებობებისა და სხვა იმ ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანის, აგრეთვე ექსპლუატაციის დროს, რაც ბიოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, დაცული უნდა იყოს გარემოში მიკრობების, სოკოების, სხვა მიკროორგანიზმების წარმომქმნელი და ბიოლოგიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები, რომლებიც მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ გარემოზე ბიოლოგიური ზემოქმედება, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ გარემოსათვის უსაფრთხო წარმოება, ტრანსპორტირება, მიკროორგანიზმებისა და ნივთიერებების ბიოლოგიური სახეობების გამოყენება და ლიკვიდაცია. შეიმუშაონ და განახორციელონ ავარიისა და კატასტროფის, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ბიოლოგიური ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებები.

გარემოზე ბიოლოგიურ ზემოქმედების მდგომარეობაზე დაკვირვებას, წყაროების აღრიცხვასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

გარემოზე ბიოლოგიური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივების გადაჭარბება, მიკროორგანიზმებისა და ნივთიერებების ბიოლოგიური სახეობების დაცვისა და გამოყენების წესის დარღვევა იწვევს საწარმოებისა და სხვა ობიექტების, გაბინძურების წყაროების, სამუშაოების შეჩერებას, შეწყვეტას საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

მუხლი 42. ბუნების დაცვა ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრო-მაგნიტური ველისა და სხვა მავნე ფიზიკური ზემოქმედებისაგან

გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე სამრეწველო და სატრანსპორტო ხმაურის, ვიბრაციის, მაგნიტური ველისა და სხვა მავნე ზღვრულად დასაშვები ნორმატივების გადაჭარბება აკრძალულია ამ კანონით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ნორმატივების დაცვას, მუშავდება ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების, საწარმოების, საამქროების, ტექნოლოგიური ხაზების მშენებლობის და რეკონსტრუქციის სამუშაოების დაპროექტების, ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების, მიწისზედა, მიწისქვეშა, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის კონსტრუირების, დაპროექტებისა და ექსპლუატაციის პროცესში.

მითითებული ნორმატივების შეუსრულებლობა იწვევს საწარმო-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ბუნების დაცვის შესახებ

(დასასრული)

ების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საამქროების, აგრეგატების, სხვა მოწყობილობის მუშაობის, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის, ხმაურის, ვიბრაციის, მაგნიტური ველის და სხვა მავნე ფიზიკური ზემოქმედების წყაროების შეჩერებას, შეწყვეტას, აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღკვეთამდე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 43. ბუნების დაცვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები ვალდებულნი არიან მიიღონ შესაბამისი ზომები საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის შესამცირებლად, უზრუნველყონ გაუვნებლების, გადამუშავების უტილიზაციის, საწყობებში განთავსებისა და დამარხვის ღონისძიებები. აგრეთვე გამომუშავებული ზეთებისა და ნავთობპროდუქტების შემდგომი რეგენერაციის მიზნით შეგროვება და ჩაბარება.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ნარჩენების საწყობებში განთავსებისა და დამარხვისათვის დადგენილი წესით ადგილის შესარჩევად, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტისა და მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტთან.

აკრძალულია ტოქსიკური ნივთიერებების, მათ შორის რადიაქტიური ნარჩენების დამარხვა დასახლებულ ტერიტორიაზე, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ახლოს, მდინარეებში, ტბებში და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების, ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის ფარგლებში საკურორტო გამაჯანსაღებელ, რეკრეაციულ ზონებში და სხვა ადგილებში, სადაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს.

აღნიშნული წესების შეუსრულებლობა იწვევს იმ ობიექტების საქმიანობის შეზღუდვას, შეჩერებას ან შეწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ტოქსიკური და რადიაქტიური ნარჩენების წარმოებასთან.

მუხლი 44. დედამიწის კლიმატისა და ოზონური ფენის დაცვა

საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შეამცირონ ან მთლიანად შეწყვიტონ ისეთი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების დაგეგმვა და წარმოება, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ დედამიწის ოზონურ ფენაზე.

იმ ქიმიური ნივთიერებებისა და საწარმოო ნარჩენების ნუსხა, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ დედამიწის ოზონური ფენის მდგომარეობაზე მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს წარდგინებით. დედამიწის ოზონური ფენის მდგომარეობასა და კლიმატზე მავნე ზემოქმედების მქონე ქიმიური ნივთიერებების გამოყენების დადგენილი წესების შეუსრულებლობა იწვევს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ან ცალკეული საამქროების, აგრეგატების, ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობების საქმიანობის შეჩერებას ან მთლიანად შეწყვეტას.

აღნიშნული საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო.

თავი IX.

საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციები

მუხლი 45. ავარიის თავიდან აცილება და მისი მავნე შედეგების ლიკვიდაცია

ავარიის შემთხვევაში საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის ლიკვიდაციას მოქმედების გეგმის შესაბამისად. ამავე დროს დაუყოვნებლივ აცნობებენ ავარიისა და მისი ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომების შესახებ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებსა და მოსახლეობას. აღნიშნული ორგანოები ახორციელებენ გადაუდებელ ღონისძიებებს ავარიისა და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ.

ავარიის მიზეზების გამოკვლევისა და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის იქმნება სამთავრობო, საგანგებო, სპეციალური, მათ შორის ეკოლოგიური და სხვა კომისიები.

მუხლი 46. საწარმოთა მოვალეობანი ავარიების ეკოლოგიური შედეგების სალიკვიდაციოდ მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომლებმაც ავარიების შემთხვევაში შესაძლოა ზიანი მიაყენონ ადამიანების ჯანმრთელობასა და გარემოს, ვალდებულნი არიან:

ჰქონდეთ საგანგებო ეკოლოგიურ ვითარებაში მოქმედების გეგმა;

შექმნან და მზადყოფნაში ჰყავდეთ ავარიის სალიკვიდაციო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი საავარიო სამსახური;

ავარიების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფის მიზნით ატარებდნენ პერსონალის მომზადებას სპეციალური პროგრამის მიხედვით;

შეუფერხებლად შეუშვან ტერიტორიაზე გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ობიექტებზე ზედამხედველობისა და ბუნების დაცვის სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები და გააცნონ მათ აუცილებელი მასალები;

დროულად აცნობონ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს გარემოზე მავნე ზემოქმედების ტექნოლოგიური პროცესების მოსალოდნელი ცვლილებების, ობიექტების რეკონსტრუქციის, აგრეთვე მავნე ნივთიერებების მოხმარებაში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 47. საგანგებო ეკოლოგიური ზონები.

საგანგებო ეკოლოგიურ ზონებად ცხადდება ტერიტორიის, წყლისა და საჰაერო სივრცის ის მონაკვეთები, სადაც სამეურნეო და სხვა საქმიანობის, ავარიის და კატასტროფის შედეგად ან სტიქიური ძალების დამანგრეველი ზეგავლენით გარემოში ხდება მდგრადი უარყოფითი ცვლილებები, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, გარემოს მდგომარეობას, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს გენეტიკურ ფონდს.

საგანგებო ეკოლოგიური ზონები ცხადდება და აღიკვეთება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე.

საგანგებო ეკოლოგიურ ზონაში იკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე, იზღუდება ბუნებათსარგებლობის ცალკეული სახეები, ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და კვლავწარმოების მიზნით.

საგანგებო ეკოლოგიური ზონების გაჯანსაღების ღონისძიებების დაფინანსება წარმოებს, პირველ რიგში, იმ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სახსრებით, რომელთა მიზეზითაც მოხდა ავარია ან კატასტროფა, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი სახსრების სადაზღვევო და ბუნების დაცვის ფონდების ხარჯზე.

მუხლი 48. ეკოლოგიური უბედურების ზონები

ეკოლოგიური უბედურების ზონებად ცხადდება ტერიტორიის, საჰაერო სივრცის, ან წყლის სივრცის ის მონაკვეთები, სადაც სამეურნეო და სხვა საქმიანობის ან ბუნების სტიქიური ძალების დამანგრეველი ზეგავლენის შედეგად მოხდა ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა, გარემოს ეკოლოგიური სისტემის დაშლა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, ფლორისა და ფაუნის გენეტიკურ ფონდს.

ეკოლოგიური უბედურების ზონები ცხადდება და აღიკვეთება იგივე წესით, რაც დადგენილია საგანგებო ეკოლოგიური ზონებისათვის.

ეკოლოგიური უბედურების ზონებში წყდება ყველა სამეურნეო ობიექტების საქმიანობა, გარდა იმ ობიექტებისა, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან. იკრძალება ახალი ობიექტების მშენებლობა, მნიშვნელოვნად იზღუდება ბუნებათსარგებლობის სახეები, ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების აღსადგენად, ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღებისათვის.

მუხლი 49. საავარიო-მაშველი სამსახურების და სამუშაოების დაფინანსების ფონდები

საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას და გარემოს მდგომარეობას, შეაქვთ დადგენილი გადასახადი გარემოს დაზღვევისა და ბუნების დაცვის სხვა ფონდებში. ამ ფონდების ხარჯზე წარმოებს საავარიო-მაშველი სამსახურებისა და მათი სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსება. ასეთი სამსახურების და სამუშაოების დაფინანსების წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ.

თავი X

განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და ობიექტები

მუხლი 50. საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ-სანაკრძალო ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები, ბიოსფერული ბუნებრივი აღკვეთილები, ბუნებრივი პარკები, ბუნების ძეგლები, საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა სახეობები შეადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ სანაკრძალო ფონდს, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო მხრიდან განსაკუთრებული დაცვით.

საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ-სანაკრძალო ფონდი იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობაში.

ბუნებრივ-სანაკრძალო ფონდის და მისი შემადგენელი ნაწილების რეჟიმი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 51. სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები

სახელმწიფო ბუნებრივ ნაკრძალებად ცხადდებიან კანონით განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი კომპლექსები, რომლებიც სამუდამოდ არიან ამოღებული სამეურნეო საქმიანობიდან და არავითარი სხვა მიზნისათვის გამოყენებას არ ექვემდებარებიან, რომლებსაც როგორც ბუნებრივი გარემოს ეტალონებს, გააჩნიათ ბუნებისდაცვითი სამეცნიერო, ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა, ტიპიური ან იშვიათი ლანდშაფტები, მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური ფონდის შენარჩუნების ადგილები.

სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები იქმნებიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით.

სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალის ტერიტორიაზე იკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება სანაკრძალო მიზნებს ან ზიანს აყენებს მის ბუნებას. სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალების ტერიტორიაზე დაშვებ- დგენით, ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან სანაკრძალო მიზნებს.

სანაკრძალო რეჟიმის უზრუნველსაყოფად ნაკრძალის ტერიტორიის გარშემო იქმნება დაცვითი ზონები, მის ფარგლებში სანაკრძალო რეჟიმზე მავნე ზეგავლენის მქონე საქმიანობის აკრძალვით.

ნაკრძალების რეჟიმის დაცვას უზრუნველყოფენ ნაკრძალების დაცვის სამსახურები.

მუხლი 52. ბუნებრივი აღკვეთილები

ბუნებრივ აღკვეთილად ცხადდება ბუნებრივი კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია ბუნებრივი რესურსების ერთი რომელიმე სახეობის შენარჩუნების ან კვლავწარმოებისათვის, მასში რესურსების სხვა სახეობების შეზღუდული და შეთანხმებული გამოყენებით.

ბუნებრივი აღკვეთილები იქმნებიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებებით.

ბუნებრივი აღკვეთილის ტერიტორიაზე იკრძალება სამეურნეო რეკრეაციული და სხვა საქმიანობა, თუ იგი ეწინააღმდეგება აღკვეთილის ორგანიზაციულ მიზნებს ან ზიანს აყენებს გარემოს.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომელთა ტერიტორიაზე შექმნილია აღკვეთილები, ვალდებული არიან მიიღონ ზომები მათთვის დადგენილი დაცვის რეჟიმის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 53. ეროვნული ბუნებრივი პარკები

ეროვნულ ბუნებრივ პარკებად ცხადდება სამეურნეო სარგებლობიდან ამოღებული განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი კომპლექსები, რომელთაც როგორც ტიპიურ ან იშვიათ ლანდშაფტებს, გააჩნიათ ეკოლოგიური, გენეტიკური, სამეცნიერო, ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო, რეკრეაციული მნიშვნელობა, გარეულ მცენარეთა და ცხოველთა თანაცხოვრების საბინადრო გარემო, მოსახლეობის დასვენების, ტურიზმის, ექსკურსიების, განათლების ადგილები.

ეროვნული ბუნებრივი პარკები იქმნებიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ბუნების დაცვის, მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდის, დასვენების ორგანიზაციის, ტურიზმის განვითარების მიზნით.

ეროვნული ბუნებრივი პარკების ტერიტორიაზე იკრძალება სამეურნეო და სხვა საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება პარკის ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს ან ზიანს აყენებს გარემოს.

ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით ეროვნული ბუნებრივი პარკის ტერიტორიაზე იქმნება სანაკრძალო, აღკვეთილის რეჟიმის, რეკრეაციული გამოყენების ზონები. პარკის გარშემო იქმნება დაცვითი ზონები ბუნებათსარგებლობის შეზღუდული რეჟიმით.

ეროვნული ბუნებრივი პარკის დაცვას უზრუნველყოფს პარკის ადმინისტრაცია.

მუხლი 54. ბუნების ძეგლები

ბუნების ძეგლებად ცხადდება ცალკეული ბუნებრივი ობიექტები და ბუნებრივი კომპლექსები, რომელთაც გააჩნიათ რელიქტური, მეცნიერული, ისტორიული, ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა და სახელმწიფოს განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ.

ბუნებრივი ობიექტები და კომპლექსები ბუნების ძეგლებად ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით.

ბუნების ძეგლებად გამოცხადებული ობიექტები და კომპლექსები სრულად ამოიღება სამეურნეო სარგებლობიდან. იკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, რაც ზიანს აყენებს ბუნების ძეგლს ან აუარესებს მის მდგომარეობას და დაცვას.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რომელთა ტერიტორიაზე მდებარეობენ ბუნების ძეგლებად გამოცხადებული ობიექტები და კომპლექსები, პასუხს აგებენ მათი დაცვის წესების დარღვევისათვის.

მუხლი 55. იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა დაცვა

იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა დასაცავად დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის წითელი წიგნი.

მცენარეები და ცხოველები, რომელნიც განეკუთვნებიან წითელ წიგნში შეტანილ სახეობებს, ექვემდებარებიან სამეურნეო და სხვა სარგებლობიდან საყოველთაო ამოღებას. იკრძალება საქმიანობა, რომელიც იწვევს ამ მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობის შემცირებას, აუარესებს მათ საბინადრო გარემოს.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სხვა ბუნებათმოსარგებლეები, რომელთა ტერიტორიაზე იმყოფებიან წითელ წიგნში შესული მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები მცენარეთა და ცხოველთა ამ სახეობების დაცვისა და აღწარმოებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის წითელი წიგნის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ.

მუხლი 56. საკურორტო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ზონების ბუნების დაცვა

საკურორტო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ზონებად მიიჩნევენ განსაკუთრებულად დაცულ ტერიტორიებს და წყლის სივრცის უბნებს, რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი სამკურნალო თვისებები, მინერალური წყაროები, კლიმატური და სხვა ხელსაყრელი პირობები დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

საკურორტო და სამკურნალო გამაჯანსაღებელი ზონების ბუნებრივი თვისებებისა და სამკურნალო საშუალებების განადგურების, დაბინძურებისა და ვადაზე ადრე ამოწურვის თავიდან აცილების მიზნით ფარგლებში იკრძალება სამუშაოები, რომლებიც აბინძურებენ ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ზიანს აყენებენ ტყეებს და უარყოფითად მოქმედებენ განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების სამკურნალო თვისებებსა და სანიტარულ მდგომარეობაზე.

ბუნებრივი ტერიტორიების საკურორტო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ზონებად გამოცხადების წესი, მათი დაცვის რეჟიმი განისაზღვრება ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 57. ბუნების დაცვა რეკრეაციულ ზონებში

რეკრეაციულ ზონებად ითვლება მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმისათვის გათვალისწინებული საგანგებოდ დაცული ტერიტორიები ან წყლის სივრცეთა მონაკვეთები.

რეკრეაციული ზონები ყალიბდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით ბუნებათმოსარგებლეებთან და საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

რეკრეაციული ზონების ტერიტორიაზე აკრძალულია მოცემული ტერიტორიის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისათვის ხელისშემშლელი ყველანაირი სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობა.

რეკრეაციული ზონების გამოყენება მოსახლეობის ორგანიზებული დასვენებისა და ტურიზმისათვის შეიძლება წარმოებდეს მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

რეკრეაციული ზონების დაცვისა და გამოყენების რეჟიმი განისაზღვრება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილი წესით, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

თავი XI

კონტროლი ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში

მუხლი 58. ბუნების დაცვის კონტროლის სისტემა და ამოცანები

ბუნების დაცვის კონტროლს ახორციელებენ ბუნებრივ გარემოზე საერთო სახელმწიფოებრივი, უწყებრივი, საწარმოო და საზოგადოებრივი კონტროლის სამსახურები.

ბუნების დაცვის კონტროლის ამოცანას წარმოადგენს გარემოს მდგომარეობის ბუნების დაცვითი ღონისძიებებისა და გეგმების შესრულების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების, გარემოს გაჯანსაღების, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმება, სამეურნეო და სხვა საქმიანობით ბუნებაში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვების წარმოება.

მუხლი 59. ბუნების მდგომარეობაზე დაკვირვების საერთო სახელმწიფოებრივი სამსახური

გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების საერთო სახელმწიფოებრივი სამსახური იქმნება ბუნებაში მიმდინარე ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ პროცესებზე, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, წყლის ობიექტების დაბინძურების დონეზე, ფლორასა და ფაუნაზე მისი ზეგავლენის შედეგებზე დაკვირვების, დაინტერესებული ორგანიზაციების და მოსახლეობისათვის გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების, მისი მდგომარეობის შესახებ პროგნოზის და გაფრთხილებების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს მდგომარეობაზე საერთო-სახელმწიფოებრივი დაკვირვება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს მიერ შესაბამისად სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით.

გარემოს მდგომარეობაზე საერთო სახელმწიფოებრივი სამსახურის დაკვირვების ორგანიზაციის წესი და საქმიანობის რეგულირება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 60. ბუნების დაცვის დარგში სახელმწიფო კონტროლის ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი

სახელმწიფო კონტროლი ბუნების დაცვის დარგში ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო და მისი სამსახურები კოორდინაციას უწევენ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში.

გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს უფლება აქვთ:

— შეამოწმონ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე მოქალაქეთა მეურნეობები, გაეცნონ საბუთებს, ანალიზებს და კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა მასალებს;

— შეამოწმონ გამწმენდი ნაგებობების და სხვა გამაუვნებელი მოწყობილობების მუშაობა, მათი კონტროლის საშუალებები, გარემოს ხარისხის ნორმატივების, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის შესრულება, აგრეთვე ბუნების დაცვის გეგმების შესრულების მიმდინარეობა;

— მოითხოვონ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში მისცენ აუ- მითითებები ან დასკვნები ობიექტების განლაგების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში შეყვანისა და ექსპლუატაციის შესახებ;

— დადგენილი წესის თანახმად დამრღვევთა მიმართ გამოიყენონ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, გადაუგზავნონ მასალები მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, წარადგინონ სარჩელი სასამართლოში ან არბიტრაჟში ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოს ან ადამიანის ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

— მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ნებისმიერი საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების, შეწყვეტის შესახებ, რაც ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანთა ჯანმრთელობას.

აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა ყველა სამინისტროსა და უწყების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ბანკის შესაბამისი დაწესებულებები ვალდებულნი არიან შეწყვიტონ აკრძალული საქმიანობის დაფინანსება გარემოს დაცვის დარგში სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ მისი აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებამდე.

პირები, რომლებიც დააბრკოლებენ გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებას, მიეცემიან პასუხისგებაში არსებული წესის შესაბამისად.

მუხლი 61. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება ბუნების დაცვის კონტროლის დარგში

რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიებზე ბუნების დაცვის დარგში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ პრეფექტურები. მათი უფლებამოსილებანი ბუნების დაცვის კონტროლის სფეროში ვრცელდება შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

ბუნების დაცვის კონტროლის დარგში პრეფექტურა უფლებამოსილია:

განახორციელოს კონტროლი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებაზე; შეამოწმონ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები აგრეთვე მოქალაქეთა მეურნეობები, გაეცნონ საბუთებს და კონტროლისათვის საჭირო ყველა მასალას; კონტროლის მასალების საფუძველზე დასვას საკითხი სამართალდამრღვევთა პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 62. უწყებრივი კონტროლი ბუნების დაცვის დარგში

უწყებრივი კონტროლი ბუნების დაცვის დარგში ხორციელდება სამინისტროების, უწყებების, ეკოლოგიური სამსახურების მიერ და მიზნად ისახავს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, გარემოს გაჯანსაღების გეგმებისა და ღონისძიებების, გარემოს ხარისხის ნორმატივების შესრულების, აგრეთვე შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფას.

უწყებრივი ბუნებისდაცვითი სამსახური მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოებს საკონტროლო ობიექტების შემოწმებას, იძლევა სავალდებულო მითითებებს ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, შეაქვს წინადადებები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნედ მოქმედი ობიექტების საქმიანობის შეჩერების, შეზღუდვის, შეწყვეტის თაობაზე და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის, მათთვის ადმინისტრაციული, მატერიალური ან დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

უწყებრივი ეკოლოგიური სამსახურის საქმიანობისა და ორგანიზაციის წესს განსაზღვრავს შესაბამისი დებულებები.

მუხლი 63. შიდასაწარმოო კონტროლი ბუნების დაცვის დარგში

საწარმოო კონტროლი გარემოს დაცვის დარგში ხორციელდება საწარმოს ეკოლოგიური სამსახურის მიერ. იგი ამოცანად ისახავს ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფას, აგრეთვე გარემოს გაჯანსაღების გეგმების, გარემოს ხარისხის ნორმატივების დაცვისა და ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შემოწმებას.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ბუნებადაცვითი სამსახურების თანამდებობის პირებს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უფლება აქვთ მისცენ სავალდებულო მითითება დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, დააყენონ საკითხი ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედების ცალკეული საამქროების, ტექნოლოგიური ხაზების და სხვა ობიექტების საქმიანობის შეჩერების, შეზღუდვის ან შეწყვეტის თაობაზე, აგრეთვე დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

მუხლი 64. საზოგადოებრივი კონტროლი ბუნების დაცვის დარგში

საზოგადოებრივი კონტროლი ბუნების დაცვის დარგში ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მიერ და მიზნად ისახავს სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მიერ სიცოცხლისათვის უვნებელი გარემოს მდგომარეობის უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი კონტროლის წესს ბუნების დაცვის დარგში განსაზღვრავს ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტები, კოლექტივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ არსებული კანონმდებლობა.

მუხლი 65. მოსახლეობის მონაწილეობის ფორმები ბუნების დაცვაში

მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ბუნების დაცვაში სხვადასხვა ფორმების გამოყენებით.

ეს ფორმებია:

ა) პირად შრომით საქმიანობაში ბუნებისდაცვითი მოთხოვნების შესრულება;

ბ) ბუნების დაცვის სფეროში დაშვებული დარღვევების აღკვეთისა და გამოსწორების ღონისძიებებში მონაწილეობა;

გ) შრომითი დანაზოგების გადარიცხვა ბუნების დაცვის ფონდებში;

დ) შრომითი კოლექტივების, ბუნების დაცვის საზოგადოებების, სახელმწიფო ორგანოებთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ბუნებისდაცვით საქმიანობაში მონაწილეობა;

ე) პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ბუნებისდაცვითი საქმიანობისადმი ხელის შეწყობა.

მუხლი 66. ბუნებისდაცვითი პროფილის საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებამოსილება

ბუნებისდაცვითი პროფილის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ:

ამუშავებდნენ, ამტკიცებდნენ და პროპაგანდას უწევდნენ თავიანთ პროგრამებს, იცავდნენ მოსახლეობის უფლებებსა და ინტერესებს ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში, ავითარებდნენ მოქალაქეთა ბუნებადაცვით კულტურას, ნებაყოფლობით საწყისებზე იზიდავდნენ მოქალაქეებს ბუნებისდაცვით საქმიანობაში;

საკუთარი სახსრებითა და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შრომითი მონაწილეობით ასრულებდნენ ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების აღწარმოებისა და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების სამუშაოებს, ატარებდნენ დამოუკიდებელ შემოწმებებს ან მონაწილეობდნენ ბუნების დაცვის სახელმწიფო ინსპექციების მიერ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ბუნებისდაცვითი გეგმებისა და ღონისძიებების შესრულების მიზნით ჩატარებულ შემოწმებებში, ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ ბუნების დაცვის სახელმწიფო ორგანოებს ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქმნიდნენ საკუთარ ფონდებს და მიზნობრივად იყენებდნენ;

მონაწილეობდნენ ეკოლოგიურად სახიფათო ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანის სახელმწიფო ექსპერტიზაში, ატარებდნენ საზოგადოებრივ ეკოლოგიურ ექსპერტიზას; დადგენილი წესით აყენებდნენ საკითხებს ეკოლოგიურად მავნე ობიექტების განთავსებაზე, მშენებლობაზე, ექსპლუატაციაზე გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, მათი საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების, შეწყვეტის ან პროფილის შეცვლის თაობაზე.

ითხოვდნენ დროული, სრული და ჭეშმარიტი ინფორმაციის წარმოდგენას ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე, ბუნების დაცვის ღონისძიებებზე, ბუნების დაცვის ძირითად მიმართულებებზე, პროგრამებზე და ღონისძიებებზე, ღებულობდნენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას, აწყობდნენ შეკრებებს ბუნებისდაცვის სფეროში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად და გამოცდილების გასაზიარებლად;

ითხოვდნენ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნას, გამოდიოდნენ საჯაროდ თავიანთი ეკოლოგიური პლატფორმით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა საზოგადოებრივი ფორმირების ეკოლოგიური საქმიანობა ხორციელდება მათი წესდებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 67. ბუნების დაცვის დარგში მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებების გარანტიები

სახელმწიფო განსაზღვრავს და ადგენს ბუნებისდაცვითი ფუნქციების განმახორციელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების და მოქალაქეებისათვის ბუნების დაცვის სფეროში მინიჭებული უფლებების მატერიალურ და იურიდიულ გარანტიებს.

საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო, აგრეთვე გარემოს დაცვის სხვა სპეციალური ორგანოები, მათი თანამდებობის პირები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივ დაეხმარონ საზოგადოებრივ ეკოლოგიურ ორგანიზაციებს, სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და მოქალაქეებს გარემოს დაცვის დარგში მათი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციაში, განახორციელონ აუცილებელი ზომები ბუნებისდაცვითი საქმიანობის ორგანიზაციაში მათი დასაბუთებული წინადადებებისა და მოთხოვნების შესრულებისათვის და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აცნობონ მათ.

თანამდებობის პირები და ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც საზოგადოებრივ ეკოლოგიურ ორგანიზაციებს, სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და მოქალაქეებს წინააღმდეგობას უწევენ მათი უფლებების და მოვალეობების შესრულებაში, მიეცემიან პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XII.

ეკოლოგიური აღზრდა, განათლება, სამეცნიერო გამოკვლევები

მუხლი 68. ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების საყოველთაობა, კომპლექსურობა და უწყვეტობა

საზოგადოების ეკოლოგიური კულტურისა და სპეციალისტთა მომზადების დონის ამაღლების მიზნით დგინდება ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების საყოველთაო, კომპლექსური, უწყვეტი და ხელმისაწვდომი სისტემა, რომელიც სკოლამდელი, სასკოლო აღზრდისა და განათლების, საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში კადრების, პროფესიული მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მთლიან პროცესს მოიცავს.

მუხლი 69. ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდა

საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდის მიზნით წარმოებს ეკოლოგიური ცოდნისა და კულტურის, აგრეთვე ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის ფართო პროპაგანდა.

ეკოლოგიური და ეკოლოგიურ-სამართლებრივი ცოდნისა და კულტურის პროპაგანდა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს და ორგანიზაციებს, პრესას, რადიოს, ტელევიზიასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, მუზეუმებს, გამოფენებს.

მუხლი 70. სამეცნიერო კვლევა ეკოლოგიის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიები, მეცნიერებისა და ტექნიკის, ბუნების დაცვის, განათლების სახელმწიფო ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, სამეცნიერო დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შეიმუშავებენ და ამტკიცებენ სამეცნიერო კვლევების კომპლექსურ პროგრამებს და გეგმებს ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების და აღწარმოების, ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღების სფეროში და ქმნიან აუცილებელ პირობებს ეფექტური სამეცნიერო-ეკოლოგიური გამოკვლევების და მიღებული შედეგების დანერგვისათვის.

სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერები და სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ (საერთაშორისო, რესპუბლიკური, რეგიონალური) კომპლექსური, მიზნობრივ-ეკოლოგიური პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციაში, შედიან სამეცნიერო-ტექნიკური და საექსპერტო საბჭოების შემადგენლობაში, იძლევიან დასკვნებს პროექტების ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე, დახმარებას უწევენ ბუნებისდაცვით ორგანოებს გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, მონაწილეობენ საზოგადოების ეკოლოგიური კულტურის ფორმირებაში და პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ მიერ დამუშავებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგებისა და საექსპერტო დასკვნებისათვის.

თავი XIII.

დავების გადაწყვეტა ბუნების დაცვის დარგში

მუხლი 71. დავების გადაწყვეტის წესი ბუნების დაცვის დარგში

ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში წარმოშობილი დავები წყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბუნების დაცვასა და ბუნებათსარგებლობასთან დაკავშირებული დავები, რომლებშიც მონაწილეობენ მოქალაქეები, ექვემდებარება სასამართლო წესით განხილვას.

ქონებრივი დავები, დაკავშირებული ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევასთან, წყდება სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ მათი კომპეტენციის შესაბამისად.

თავი XIV.

პასუხისმგებლობა ბუნებადაცვითი სამართალდარღვევებისათვის

მუხლი 72. პასუხისმგებლობის სახეები ბუნებადაცვითი სამართალდარღვევებისათვის

თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს ბუნების დაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის ეკისრებათ სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინარული და მატერიალური პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დანაშაულებრივი დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის მოცულობა და წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბუნების დაცვის სფეროში ადმინისტრაციული გადაცდომებისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

ბუნების დაცვის სფეროში მოქმედი წესების დარღვევისათვის მოქალაქეებისა და თანამდებობის პირების მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი დადგენილია შრომის კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ბუნების დაცვის სფეროში მოქმედი წესების დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია მატერიალური ზარალი, დადგენილია ქონებრივი პასუხისმგებლობა, იგი განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობით და ემყარება ზარალის ანაზღაურების პრინციპს.

თავი XV.

ბუნების დაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

მუხლი 73. ბუნების დაცვითი კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობა.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც გარემოს დაბინძურებით, დაზიანებით, განადგურებით, ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამოყენებით, ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემების დარღვევით, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის სხვა დარღვევით ზარალს აყენებენ მოქალაქეების ჯანმრთელობასა და ქონებას, სახალხო მეურნეობასა და ბუნებას, ვალდებულნი არიან აანაზღაურონ იგი საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 74. ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესი

ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გარემოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება ნებაყოფლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებით. ზარალის მოცულობა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობით.

მუხლი 75. გარემოს მავნე ზემოქმედების შედეგად მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება

მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალი გარემოს მავნე ზემოქმედების შედეგად, რომელიც გამოწვეულია საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ან ცალკეული მოქალაქეების საქმიანობით, ექვემდებარება ანაზღაურებას სრული მოცულობით დაზარალებულის შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის, მკურნალობაზე გაწეული ხარჯების, ჯანმრთელობის აღდგენის ავადმყოფის მოვლის, სხვა ხარჯების, აგრეთვე დანიშნული პენსიის ან დახმარების გათვალისწინებით.

მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება ზარალის მიმყენებლის კუთვნილი ქონებიდან, ხოლო მოქალაქეთაგან მისი გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში გარემოს დაცვის ფონდების ხარჯზე;

დიდი ავარიის და კატასტროფის, აგრეთვე სტიქიური უბედურების შედეგად მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 76. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების უკუმოთხოვნის უფლება

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომლებმაც აანაზღაურეს ბუნებისდაცვითი სამართალდარღვევით გამოწვეული მატერიალური ზარალი აქვთ უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება იმ პირისადმი, რომლის მიზეზითაც მოხდა ბუნებადაცვითი სამართალდარღვევა.

მუხლი 77. სარჩელი გარემოსათვის მავნე საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელები სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში, ხოლო მოქალაქეებს — სასამართლოში, გარემოსათვის მავნე საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, რომელიც ზიანს აყენებს მოქალაქეების ჯანმრთელობას, მათ ქონებას, სახალხო მეურნეობას და ბუნებას.

სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება გარემოსათვის მავნე საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წარმოადგენს საფუძველს მისი დაფინანსების შესაწყვეტად საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი საბანკო დაწესებულების მიერ.

თავი XVI.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 78. საერთაშორისო ხელშეკრულებები გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველოს რესპუბლიკა აღიარებს გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და წესებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა ბუნების დაცვის სფეროში განსხვავდება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმებისაგან, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

მუხლი 79. საქართველოს რესპუბლიკის საქმიანობის კოორდინაცია გარემოს დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლად

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის ან მათ მიერ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი ორგანოები.

კანონ-პროექტის გარშემო გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიას, საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ

ორმაგი სტანდარტით

ამ ბოლო დროს საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მრავალი ქვეყნის ჟურნალისტი მოეძალა ჩვენს რესპუბლიკას. ჩამოვიდნენ იაპონიიდან, ფილიპინებიდან, თვით შორეული კოლუმბიიდანაც კი.

ჩამოსულთა პროფესიული, ინტელექტუალური და ზნეობრივი დონე არ არის ერთგვაროვანი. ეს გავლენას ახდენს მათი სტატიების ხარისხზე, ობიექტურობაზე.

საერთოდ, დასავლეთში მაღალი დონის, რესპექტაბელური გამოცემების გვერდით არსებობს მასობრივი, სენსაციებს გამოდევნებული გაზეთები. ასეთთა აზრს თვით დასავლეთშიც არავინ უწევს ანგარიშს.

ჩვენში უმეტესად სწორედ ასეთ გაზეთებზე დაყრდნობით უქიჟინებენ ხელისუფლებას, აი, ხედავთ, რას წერენ თქვენზეო:

სხვათა შორის, ხშირად ასე ხდება: ჩვენი „ოპოზიციონერების“ მიერ მიცემულ ინტერვიუს ბეჭდავენ „იქ“. შემდეგ მასში გამოთქმულ „სიბრძნეს“ იგივე ხალხი უკვე უბრჭყალებოდ იმეორებს „აქ“ და დასავლეთის პრესის აზრად ასაღებს.

დეზინფორმაციის „ცენტრისეული“ კონვეიერი უკვე დიდი ხანია წარმატებით მუშაობს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ სუვერენიტეტის მაძიებელი სხვა რესპუბლიკების წინააღმდეგაც. ერთხანს ბალტიისპირეთის ლიდერები ჰყავდათ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ. ამჟამად „დიქტატორ“ გამსახურდიას არ აკლებენ „მზრუნველობას“. სულ ახლახანს კი „იმპერიის“ პრესის ყურადღება მიიპყრო ჩეჩენ-ინგუშეთმაც. კავკასიის ამ პატარა ავტონომიურ რესპუბლიკაში აშკარად ისეთი მოვლენები ვითარდება, რაც არაფრით არ თავსდება „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ჩარჩოებში. ჩეჩენი და ინგუში ხალხი დაჟინებით ილტვის ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ. „იზვესტია“ ოპერატიულად გამოეხმაურა ამ ამბებს პუბლიკაციით, რომლის უკვე სათაურია პროვოკაციული: „ბოლშევიკური მეთოდებით არ შეიძლება დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება“. სტატია საინტერესოა იმით, რომ „ბოლშევიკები“, რა თქმა უნდა, აქაც ეროვნული მოძრაობის ის ლიდერებია, ვინც ერთმნიშვნელოვნად იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, ხოლო „დემოკრატებად“ გვევლინებიან ყოფილი ფუნქციონერები და „ინტელიგენცია“.

საგნებისა და მოვლენებისადმი ორმაგი სტანდარტის მისადაგება დასავლეთის პრესის „ხელობად“ იქცა. რაღა შორს წავიდეთ, ბორის ელცინი არ იყო, დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები აგდებით რომ იხსენიებდნენ უწინ, აშკარად დასცინოდნენ, ხატავდნენ მას ალკოჰოლიკად, გონებაშეზღუდულ, კომიკურ პიროვნებადაც კი.

აშკარად მავანის ხელი ერია, როცა იტალიურმა „რესპუბლიკა“-მ უაღრესად შეურაცხმყოფლური სტატია დაბეჭდა რუსეთის ლიდერზე, რაც შემდგომში დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს და მთელ სსრკ-ს მოსდეს „პრავდა“-მ და სხვა გაზეთებმა.

აგვისტოს „პუტჩამდე“ სულ რამდენიმე დღით ადრე სოლიდურმა ამერიკულმა „ნიუსუიკმა“ დაწერა, ელცინი ხიზილალას თითებით იღმურძლებაო. ახლა ეს გაზეთები თავში ხელს იცემენ, ეს რა მოგვივიდა, რუსული დემოკრატიის ბურჯს, გმირ ელცინს შუბლმაგარ ყეყეჩად როგორ ვასაღებდითო.

დასავლეთის პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი, ამერიკის ადმინისტრაცია მხარს უჭერენ სსრკ-ის ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნებას. ამაში გამოსჭვივის „გარდაქმნის“ შემოქმედისადმი მადლიერება ამ უკანასკნელის დამთბობი საგარეო პოლიტიკის გამო. გარდა ამისა მათ შიში აქვთ, რომ ეკონომიკურად სუსტი, განთავისუფლებული რესპუბლიკები მათ დააწვებიან მხრებზე.

ამერიკის მთავრობის ასეთი პოზიცია ძალაუნებურად გავლენას ახდენს იქაურ პრესაზე, რუსეთისა და დასავლეთის პრესის ნაწილს იმიტომ აინტერესებდა ჩვენში მომხდარი ამბები, რომ მსოფლიოს დაენახოთ, ხედავთ „ცენტრის“ გარეშე რესპუბლიკების არსებობა შეუძლებელიაო. ამას დაუმატეთ, თავის მხრივ, „ცენტრის“ გარჯა და ამგვარად მსოფლიოს ედება ათასგვარი ჭორი, ტყუილ-მართალი.

მაგალითად „ვაშინგტონ პოსტ“-ის მოსკოველი კორესპონდენტი დევიდ რემნიკი წერდა, რომ გადადგა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და შეუერთდა ოპოზიციას, ხოლო მთავრობამ აკრძალა დემონსტრაციები 11 სექტემბერსო. ეს შეგნებული დეზინფორმაცია გამიზნულია იმისათვის, რომ უარყოფითად განაწყოს დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი საქართველოს მიმართ, ხელფეხი გაეხსნათ რუს „ინტეგოპეციონისტებს“.

კიდევ მაგალითი: „ასოშიეიტედ პრესის სააგენტო“ 22 სექტემბერს გიორგი ვარძელაშვილსა და თამარ ჩხეიძეზე დაყრდნობით წერს, რომ მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა ერთმა ქართველმა მოქალაქემო.

აქაც სიტუაცია ისეა დახატული, თითქოს ხალხი ისე იყოს გამწარებული, რომ პროტესტის უკიდურეს ფორმებს მიმართავდეს.

სხვათა შორის, ეს ის ვარძელაშვილია, რომელიც შევარდნაძესა და პატიაშვილს რუსულ ენაზე უდგენდა გამოსვლის ტექსტებს. ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ ხსენებული აზრი უტრიალებს ამერიკელ კორესპონდენტებს, რათა „პირუთვნელი“ ინფორმაციით „გამოკვებოს“ ისინი.

ზოგჯერ თავის სიტყვას ამბობს ელემენტარული უცოდინარობაც. „ვაშინგტონ პოსტ“-ის (16.09.1991) ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულია სტატია ასეთი სათაურით: „საბჭოთა (!?) საქართველო ითხოვს ადგილს გაეროში!“

რა დაეჭირება იმ ჟურნალისტს, რომელმაც არ უწყის, რომ საქართველომ უკვე ერთი წელია მოიშორა ეს ოდიოზური სახელწოდება.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი აქვს გასათვალისწინებელი ჩვენს ზოგიერთ ოპოზიციონერს, როცა საგულდაგულო თავის კანტურით უდასტურებენ უცხოელ კორესპონდენტებს, რომ ჩვენში დიქტატურაა. შემდეგ ეს ხალხი მიდის და წერს, რომ საქართველოში დიქტატურა მძვინვარებს და „სამხრეთ ოსეთი“, რა თქმა უნდა, თავის ჩრდილოელ ძმებს უნდა შეუერთდეს „დემოკრატიული“ რუსეთის ფარგლებშიო. ამასვე წერს ფრანგული პუენ დიუ ჟურ“-ი — სამხრეთ ოსეთი სტალინმა აჩუქა (?!) ქართველებს, თორემ ეს მიწა „დედა-ოსეთის“ განუყოფელი ნაწილია, ოდითგანვე ოსებს ეკუთვნოდათ და ქართველები აქ მოგვიანებით მოვიდნენო. თანაცო, საქართველოში განუკითხაობას დაუსადგურებია და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გაერთიანდეს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთიო.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საფრანგეთის პრესა მთელს ევროპაში სხვაზე მეტი მონდომებით ნერგავს დაჩაგრული უსასოო ოსების სტერეოტიპს, და აქტიურად ქმნის საზოგადოებრივ აზრს — სამხრეთი ოსეთი უსათუოდ დედასამშობლოს უნდა დაუბრუნდესო. ეს მაშინ, როდესაც თვით საფრანგეთში აურაცხელი ეროვნული უმცირესობაა — ნორმანდიელები, ბრეტონელები, ბასკები, ელზასელი გერმანელები და სხვანი, რომელთაც, სხვას რომ თავი გავანებოთ, ფაქტობრივად საკუთარ ენაზე სწავლის უფლებაც წართმეული აქვთ. ცნობილი ფაქტია, რომ ისტორიული ბასკეთის ერთი ნაწილი დღესდღეობით ესპანეთის, ხოლო მეორე — საფრანგეთის საზღვრებშია მოქცეული. მაგრამ ამ ქვეყნებში აზრადაც არავის მოსდის (თვით ბასკებსაც კი) წამოაყენოს „ჩრდილოეთ“ და „სამხრეთ“ ბასკების გაერთიანების იდეა, ხოლო ბასკეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სამხედრო ორგანიზაცია „ეტა“ ერთმნიშვნელოვნად მონათლულია ტერორისტულ ჯგუფად, ეს მაშინ, როცა სამაჩაბლოში ქართველების სახსენებლის ამოგდების მოსურნე ოს ტერორისტებს „ისტორიული სამშობლოს“ გმირ დამცველებად სახავენ.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთის კონსტიტუცია არც კი სცნობს თავის ქვეყანაში ეროვნული უმცირესობების არსებობას და ეს არის ქვეყანა, რომელიც თავის თავს ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულად მიიჩნევს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული ქვეყნები რატომღაც პირველ რიგში სხვებისგან მოითხოვენ დემოკრატიული პრინციპების დაცვას, ხოლო საკუთარ თავს ნაკლებად ავალდებულებენ.

ყოველ შემთხვევაში, ზუსტად უნდა ვუწყოდეთ რა იბეჭდება ჩვენს შესახებ არაქართულ პრესაში და შესაბამისად დაუპირისპიროთ ჩვენი არგუმენტები.

ეს არის შრომატევადი, მაგრამ საშური საქმიანობა. იტალიაში მცხოვრებმა, ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილმა ქ-მა ქეთევან ბაგრატიონმა დააარსა საზოგადოება „წმინდა გიორგის ფარი“, რომელიც მოწოდებულია სწორი პოზიციებიდან წარმოაჩინოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთის პრესის განყოფილება.

გამწვავდა ურთიერთობა ბუდაპეშტსა და ბელგრადს შორის

ბუდაპეშტსა და ბელგრადს შორის ურთიერთობის შემდგომი გამწვავების ახალი ნიშანი გახდა მწვავე პოლემიკა უნგრეთის პრემიერს იოჟეფ ანტალსა და ვოევოდინის სერბიის ავტონომიური მხარის მთავრობის მეთაურს რადომან ბოჟოვიჩს შორის.

ამასწინანდელ საჯარო გამოსვლაში ანტალმა სერბიის ხელმძღვანელობას ბრალად დასდო ის, რომ იგი „ვოევოდინის ნახევარმილიონიან უნგრელ მოსახლეობას ეპყრობა როგორც თავის მძევლებს“ და, რომ „განუზომლად დიდია ხორვატიაში ბრძოლების დროს იუგოსლავიის არმიაში გაწვეულ უნგრელთა შორის მსხვერპლის რიცხვი“.

დღეს ბელგრადის გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებაში ბოჟოვიჩმა ანტალის სიტყვები შეაფასა როგორც „აშკარა თავდასხმები სერბიის ხელმძღვანელობაზე და დეზინფორმაცია იმ მიზნით, რათა გააღვივოს უკმაყოფილება ვოევოდინის უნგრელ მოსახლეობაში“.

ავტონომიური მხარის მთავრობის მეთაურმა უნგრეთის პრემიერს უსაყვედურა პირფერობა და შეახსენა ცნობილი ფაქტები იმის შესახებ, რომ უნგრეთმა პირველმა დაიწყო იარაღის მიწოდება ხორვატიაში უკანონო ფორმირებებისათვის. უნგრეთი ახლაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ემბარგოს მიუხედავად, უწევს სამხედრო დახმარებას ხორვატიას, თქვა მან შემდეგ. ამით უნგრეთის მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან წილს, როგორც იუგოსლავიის კონფლიქტში საერთო მსხვერპლისათვის, ისე თავისი თანატომელების რიგებში მსხვერპლისთვისაც, ხაზგასმით აღნიშნა თავის განცხადებაში ბოჟოვიჩმა.

შარშან შემოდგომაზე უნგრეთმა ფარულად მიაწოდა ხორვატიას ათიათასობით „კალაშნიკოვი“. ამა წლის თებერვალში იუგოსლავიის მხარის სასტიკ პროტესტებთან დაკავშირებით ბელგრადში იმყოფებოდა უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ტამაშ კატონა, რომელმაც ოფიციალური ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ უნგრეთის ხელმძღვანელობამ „გამოიტანა პოლიტიკური გაკვეთილი ამ შემთხვევიდან“.

ამასობაში ამ ბოლო დროს, იუგოსლავიის გაზეთების ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, უნგრეთმა განაახლა ფართო სამხედრო დახმარება ხორვატიისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის გაერთიანებამ, შემდეგ კი გაეროს უშიშროების საბჭომაც შემოიღეს იუგოსლავიაში იარაღის მიწოდების ემბარგო. საგულისხმოა, რომ, უნგრეთის ხელისუფალთა კრიტიკასთან ერთად, ბელგრადის გაზეთებმა ფართოდ გააშუქეს რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ადრიან ნესტასეს ამასწინანდელი ტელეინტერვიუ. მასში მან, კერძოდ, განაცხადა, რომ „იუგოსლავიის ირგვლივ თამაშდება ბინძური პოლიტიკური კომბინაციები“, რუმინეთის მინისტრი მტკიცედ აღუდგა წინ იუგოსლავიაში უცხოეთის ჯარების გაგზავნის გეგმებს და განაცხადა, რომ შეუწყნარებელია მის საშინაო საქმეებში ცალკეული ქვეყნების ჩარევა, რომლებსაც ამოძრავებთ საკუთარი ინტერესები იუგოსლავიაში. ტანიუგის სააგენტომ ნესტასეს გამოსვლას უწოდა „ბუქარესტის მიერ იუგოსლავიის დღემდე ყველაზე აშკარა მხარდაჭერა“.

ბაუჩერი ერაყის შესახებ

„შეერთებული შტატების მთავრობა ძლიერ შეშფოთებულია ერაყში მედიკამენტების და სურსათის მდგომარეობით“ — განაცხადა სამშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების — სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა. მან თქვა, რომ შეერთებულ შტატებში მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ერაყელი ბავშვები შიმშილობენ და გაიზარდა მათი სიკვდილიანობა.

ბაუჩერმა თქვა „მიუხედავად იმისა, რომ ერაყს საკმაოდ აწვდიან სურსათსა და მედიკამენტებს ფართო მოსახლეობას უჭირს მისი მიღება. ერაყის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ღებულობს სურსათს და ამაში ბრალი ჩვენ არ მიგვიძღვის — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა — ეს ერაყის მთავრობას ბრალია

ბაუჩერმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მცადინეობას ერაყის მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხში.

ბაუჩერმა გადაჭრით განაცხადა, რომ მედიკამენტებისა და სურსათის მხრივ მდგომარეობის ნორმალიზაცია ერაყში ალბათ შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ერაყი მთლიანად შეასრულებს საერთაშორისო გაერთიანების ყველა გადაწყვეტილებას.

საფრანგეთი

LE PLUS GRAND PLATEAU DE FROMAGE DU MONDE
AQUITAINE
YOLO

სურათზე: მსოფლიოს ამ ყველაზე დიდ ლანგარზე შეგიძლიათ ნახოთ ის, რასაც ასე მოკლებული ვართ. საფრანგეთის ქალაქ ლანგონეში გაიმართა ღვინის, პურისა და ყველის ნაწარმის გამოფენა, სადაც უზარმაზარ სინზე ეწყო 545 სახის ეროვნული და უცხოური ყველი, რომლის გემოს მხოლოდ თუ წარმოვიდგენთ.

განიხილავენ საბჭოთა საგარეო ვალის პრობლემას

საბჭოთა წარმომადგენლებთან დასავლეთის შვიდი ინდუსტრიული თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნების ფინანსთა მინისტრების მოადგილეთა შეხვედრის მთავარი მიზანი, რომელიც ოქტომბრის დამლევს უნდა გაიმართოს მოსკოვში, იქნება სსრ კავშირის საგარეო ვალის პრობლემის განხილვა. ეს ორშაბათს ამერიკის კონგრესში გამართულ მოსმენაზე განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დევიდ მალფორდმა. იგი ეს-ეს არის დაბრუნდა ბანგკოკიდან, სადაც დამთავრდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური სესია.

სენატის საფინანსო კომიტეტის ერთ-ერთ ქვეკომიტეტში გამოსვლისას მალფორდმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საგარეო ვალის საკითხი, რომელიც ამჟამად დაახლოებით 70 მილიარდ დოლარს შეადგენს, აქტიურად განიხილეს ბანკოკში გამართულ თათბირზე. ამჟამად მას აანალიზებენ ამერიკის მთავრობის ექსპერტები, თქვა მინისტრის მოადგილემ. კერძოდ, განიხილავენ დასავლეთის ქვეყნებისათვის საბჭოთა კავშირის მიერ თავისი საგარეო ვალის გადახდის გადავადების შესაძლებლობას. მალფორდის თქმით, ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც მუშავდება, ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირს მიეცეს შესაძლებლობა გადადოს ვალების გადახდა ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით იმის გამო, რომ მას აკლია მტკიცე ვალუტა და იქ უაღრესად რთული ეკონომიკური სიტუაციაა. ამავე დროს საბჭოთა კავშირი განაგრძობს ვალების პროცენტების გადახდას. როგორც მალფორდმა თქვა, „შვიდეულის“ ქვეყნები არ გამორიცხავენ აგრეთვე შესაძლებლობას, რომ სსრ კავშირს უახლოეს ხანს მიეცემა ახალი მოკლევადიანი კრედიტები, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა ოქროს მარაგით. ამჟამად საბჭოთა კავშირის წინაშე დასახული ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა „მისი საგარეო ფინანსური ვალდებულებების შესრულება ახალი კრედიტების მიღების მიზნით“, თქვა მინისტრის მოადგილემ.

მალფორდმა განაცხადა, რომ ყველა ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ მოსკოვის თათბირის შემდეგ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „შვიდეულის“ წარმომადგენლებს განზრახული აქვთ განიხილონ იქ სხვა „უფრო ფართო პრობლემები, რომლებიც ეხება სსრ კავშირისათვის ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებას“. „საბჭოთა კავშირთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების მთავარი მიზანი ის არის, რომ ხელი შევუწყოთ მის გადასვლას საბაზრო ეკონომიკისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის სისტემაზე, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

ვაგნორიუსის გამოსვლა

ლიტვის პარლამენტის სესია გუშინწინ ძირითადად მიეძღვნა რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის განხილვას. დეპუტატთა წინაშე გამოვიდა პრემიერ-მინისტრი გედიმინას ვაგნორიუსი. მან დაახასიათა რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა, მოახსენა სესიას იაპონიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ლიტვის დელეგაციის ამასწინანდელი მოგზაურობის შედეგები.

შეეხო რა საბჭოთა კავშირთან ლიტვის ურთიერთობას, მან არაორაზროვნად განაცხადა: „თუ ჩვენ გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა თავიდან უნდა ავიცილოთ ეკონომიკური დამოკიდებულება. ვგრძნობთ, რომ სსრ კავშირის გარკვეულ წრეებში ხორციელდება ჩვენს სახელმწიფოზე ეკონომიკური ზეგავლენის პოლიტიკა. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, უნდა გავაფართოოთ კავშირურთიერთობა გარე სამყაროსთან“.

პრემიერმა აღნიშნა, რომ იაპონიის მთავრობა დაჰპირდა არსებითი დახმარება გაუწიოს ლიტვას მისი ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციაში. დასასრულ გედიმინას ვაგნორიუსმა თქვა: „ახლა ჩვენი ძირითადი ამოცანაა დავაჩქაროთ ეკონომიკის რეორგანიზაცია. საბაზრო ფასებზე გადასვლა (რომელიც გათვალისწინებულია ლიტვაში შემოვიღოთ 1 ნოემბრიდან) ერთ-ერთი უახლოესი და უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ გზაზე“.

მუთალიბოვის ინტერვიუ „ნეზავისიმაია გაზეტას“

აზერბაიჯანის მხარეს ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება მიაჩნია პოლიტიკური ხელშეკრულების ხელმოწერის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად. თუმცა რესპუბლიკის პარლამენტის მიერ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის შესახებ აქტის მიღების შემდეგ რამდენადმე შეიცვალა ჩვენი მიდგომა რესპუბლიკათა პოლიტიკურ კავშირში შესვლისადმი, განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა 24 ოქტომბერს „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

აიაზ მუთალიბოვმა დაადასტურა, რომ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა კავშირის თავდაცვითი უწყებისაგან მოითხოვდა რესპუბლიკისათვის გადაეცა მის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. მან ეს იმით ახსნა, რომ „მეზობელი რესპუბლიკა სჩადის აგრესიას აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ხოლო ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ კი სრული უუნარობა გამოავლინა, რათა დაგვიცვას ხელყოფისაგან. აი რატომ გადავწყვიტეთ ვიკისროთ რესპუბლიკის თავდაცვის ფუნქცია.

აზერბაიჯანის მიერ საკავშირო სამხედრო პროგრამების დაფინანსების თაობაზე კითხვის პასუხად მუთალიბოვმა თქვა, რომ „ჩვენი რესპუბლიკის როლი საკავშირო არმიის შენახვაში ფრიად პრობლემატურია, და ამ საკითხს განვიხილავთ ეროვნული თავდაცვის ძალების შექმნის კონტექსტით“.

კონფერენციის წინააღმდეგი არიან

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც მადრიდში უნდა გაიმართოს მკაცრად დაგმეს სამშაბათს საღამოს ირანის დედაქალაქში „პალესტინის ხალხის ისლამური რევოლუციის მხარდამჭერი“ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა. საბოლოო დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მადრიდის ფორუმს „იწვევს შეერთებული შტატები იმ მიზნით, რომ განამტკიცოს რეგიონში საკუთარი და ისრაელის პოზიციები, ჩაახშოს პალესტინის რევოლუცია, დაამციროს ისლამური რესპუბლიკები და რევოლუციური მოძრაობანი“.

„თეირანის დეკლარაცია მოუწოდებს ისლამურ ქვეყნებს შექმნან თავიანთი შეიარაღებული ძალების ფარგლებში „იერუსალიმის განთავისუფლების არმიის ბრიგადები“, რომლებიც უნდა მუდამ მზად იყვნენ საბრძოლოდ ისრაელთან ომის შემთხვევაში. კონფერენციის მონაწილეებმა აგრეთვე მოითხოვეს შეწყდეს პალესტინის მიწებზე ებრაელთა დასახლება. განსაკუთრებით დაგმეს ისრაელში სსრ კავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან ებრაელთა იმიგრაცია, რომელიც გრძელდება, თანაც პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრა. აღნიშნეს თუ რამდენ საშიშია ნებაზე მიუშვან ვაშინგტონისა და თელ-ავივის ექსპანსიონისტური კურსი. კონფერენციამ მუსლიმანურ ქვეყნებს მოსთხოვა ყოველგვარი კონტაქტები შეწყვიტონ „სიონისტურ წარმონაქმნებთან“, და ბოიკოტი გამოუცხადონ ყველა კომპანიას, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ისრაელთან.

წამოყენებულია წინადადება შეიქმნას „ინტიფადის დახმარების ისლამური ფონდი“. კონფერენციის ამ და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლისათვის შეიქმნება სპეციალური კომიტეტი, რომლის რეზიდენციაც თეირანში იქნება.

მოსკოვთან მოლაპარაკების გარეშე

ბაზელი კვირის ბოლოს საგულისხმო ცნობა მოვიდა სიცილიის საკურორტო ქალაქ ტაორმინიდან, სადაც ნატოს ბლოკის ბირთვული დაგეგმვის ჯგუფები თავის საიუბილეო 50-ე სესიაზე შეიკრიბნენ.

მოსკოვთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე ნატოში შემავალი 15 ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა გადაწყვიტეს ევროპაში ცალმხრივად, 80 პროცენტით შეამცირონ თავიანთი ბირთვული პოტენციალი. შეგახსენებთ, რომ ნატომ საბჭოთა კავშირისაგან თავის დასაცავად 50-იან წლებში ევროპაში დაიწყო ბირთვული იარაღის განლაგება, რომელმაც 1967 წელს მაქსიმალურ რაოდენობას 7 ათას საბრძოლო მუხტს მიაღწია. 1979 წელს ბრიუსელში ნატოს წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს შეიარაღებიდან მოეხსნათ ათასი ბირთვული მუხტი და მოგვიანებით მათ მაგივრად დაიწყეს საშუალო მოქმედების რადიუსის რაკეტების „პერშინგ-2“-ისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგება. 1983 წელს ევროპიდან კიდევ 1400-მდე ბირთვული მუხტი გაიტანეს.. ახლა კი ტაორმინში მიღებული გადაწყვეტილებით ევროპიდან გაიტანენ 700 ამერიკულ რაკეტა „ლანს“, 1400 ბირთვულ საარტილერიო ბომბს. იგივე რაოდენობის ბირთვულ ავიაბომბს, აგრეთვე სხვა შეიარაღებას.

ექსპერტთა აზრით ევროპას ბირთვული იარაღისაგან სამუდამოდ განთავისუფლების რეალური შანსი უჩნდება. ახლა ჯერი საბჭოთა კავშირზეა, რომელიც კიდევ ერთხელ დგება ალტერნატივის წინაშე. მან ან ევროპელთა საქციელს უნდა მიბაძოს და ანალოგიურად შეამციროს თავისი უზარმაზარი სამხედრო მანქანა, ან გაჯიუტდეს, მიზეზები მოიგონოს და საბჭოთა სამხედრო მაფიას დაემორჩილოს, რომლისთვისაც ნატოს გადაწყვეტილება მომაკვდინებელი ინიციატივაა. მართლაც, საბჭოთა გენერალიტეტმა ჯერჯერობით არ იცის სად წაიყვანოს აღმოსავლეთ ევროპიდან გამოყვანილი ჯარები და ტექნიკა. ახლო მომავალში იგივე უნდა მოხდეს ბალტიისპირეთში, კავკასიაში და სხვა კოლონიურ მხარეებში. ასეთ ვითარებაში საბჭოთა სამხედრო მანქანისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ.

საინტერესო მოვლენა მოხდა საქართველოს მეზობელ თურქეთში. ამ ქვეყანამ უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში უდიდეს ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია. შარშან თურქეთში ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 1400 დოლარი იყო. ეკონომიკის წლიურმა ზრდამ კი — 8 პროცენტს მიაღწია. წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მმართველ პარტიასა და ქვეყნის პრეზიდენტ თურგუთ ოზალს.

ახლახან თურქეთში დასრულდა პარლამენტის არჩევნები. მიმდინარეობს ხმების დათვლა. მაგრამ უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მმართველმა მამულის პარტიამ გარკვეული მარცხი განიცადა. ეს პარტია ხელისუფლების სათავეში 8 წლის განმავლობაში იყო. ქვეყნის ყოფილ პრემიერს მემარჯვენე ცენტრისტული, მართალი გზის პარტიის ლიდერს სულეიმან დემირელს ჯერ საშუალება არ აქვს, რომ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა, რადგან პარლამენტში ხმების საჭირო რაოდენობა არ მოუპოვებია, ამიტომ დემირელი აპირებს კავშირი დაამყაროს მამულისა და მუსლიმანური პარტიის ზოგიერთ დეპუტატთან. იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელმა არჩევნებში საკმაოდ დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა. ბი-ბი-სის აზრით სულეიმან დემირელი გააგრძელებს თურქეთის დემოკრატიზაციის კურს და ხელს შეუწყობს ევროპული ეკონომიკური ფასეულობების თურქეთში უფრო ინტენსიურად დანერგვას. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კომპანიის დროს დემირელი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში იგი პრეზიდენტ თურგუთ ოზალის გადაყენებას მოითხოვს, რადგან ეს უკანასკნელი სამხედროების ხელშეწყობით გახდაო პრეზიდენტი.

სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სულეიმან დემირელი ახალგაზრდობაში ორჯერ იყო სტაჟირებაზე შეერთებულ შტატებში. 1961-1965 წლებში იგი მუშაობდა ამერიკულ კომპანია „მორისონ-ნადსენში“, რომელიც თურქეთში ნატოს ბლოკისათვის სამხედრო ბაზებს აშენებდა. დემირელი თურქეთის სამართლიანობის პარტიის ერთ-ერთი შემქმნელია. რამდენჯერმე იყო თურქეთის პრემიერი. 1980 წელს თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად იგი პრემიერობიდან გადააყენეს. ამის შემდეგ დემირელმა შექმნა მართალი გზის პარტია, რომელსაც 1987 წლამდე, თურქეთში მოქმედი პარტიების აკრძალვის კანონის გაუქმებამდე, იატაკქვეშ ხელმძღვანელობდა. ახლა კი სულეიმან დემირელი კვლავ თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრია.

საინტერესოდ მიმდინარეობს მოვლენები ახლოაღმოსავლეთში. აქ დასრულდა მე-20 საუკუნის გამოჩენილი დიპლომატის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის სპარსეთის ყურის ომის შემდგომ პერიოდში რიგით მერვე მოგზაურობა. ვიზიტის დროს ბეიკერი კვლავ შეხვდა ეგვიპტის, იორდანიის, სირიის, ისრაელის ხელმძღვანელებს და პალესტინელთა დელეგაციის წარმომადგენლებს. ამავე დროს ბეიკერმა იერუსალიმში კონტაქტი დაამყარა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ პანკინთან. ამ ძალისხმევის შედეგად ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანად მოწესრიგებისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარება ძალზე რეალური გახდა. იგი 30 ოქტომბერს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდშია დაგეგმილი.

ისრაელ-არაბეთის კონფლიქტს 40 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. შეგახსენებთ საკითხის არსს: 1947 წლის 29 იანვარს გაერომ დაადგინა, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილ სამანდატო ტერიტორიაზე პალესტინაში ებრაელებს გამოეყოთ 14 ათასი კვადრატული კილომეტრი სახელმწიფოს შესაქმნელად, არაბებს კი — 11 ათასი, ხოლო ქალაქი იარუსალიმი განსაკუთრებული სტატუსით შუაზე გაეყო. 1949 წლის 14 მაისს პრემიერმა დავით ბენ ჰურიონმა ისრაელის სამეფოს დამხობიდან 2535 წლის შემდეგ აღმართა დამოუკიდებელი ისრაელის დროშა. ეს თარიღი არის ისრაელის შექმნის დღე. იმავე ღამით ისრაელს განადგურების მიზნით თავს დაესხა პალესტინელ არაბთა კავალერია. პალესტინელებთან ერთად ისრაელზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ ეგვიპტე, იორდანია, ერაყი, სირია, საუდის არაბეთი, ლიბანი, იემენი. არცერთ არაბულ ქვეყანას არ უცვნია ისრაელის დამოუკიდებლობა, ხოლო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ქარტიაში კი ისრაელის მოსპობა სწერია.

ისრაელმა ხუთი ომი მოუგო არაბთა გაერთიანებულ ლაშქრებს და დაიკავა მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპირო, ღაზის სექტორი, სინას ნახევარკუნძული, გოლანი მაღლობები.

ახლა არაბები ამ ტერიტორიების უკან დაბრუნებას მოითხოვენ. ამის თაობაზე ისრაელი ხშირად აცხადებს. არაბ ხალხს 21 სახელმწიფო აქვთ და მე ჩემი ერთად-ერთი სახელმწიფო პალესტინელი არაბების სასარგებლოდ შუაზე რატომ უნდა გადავტიხროო.

კონფლიქტი ძალიან სერიოზულია და მისი დადებითად გადაწყვეტა მით უფრო საშურია, იმიტომ, რომ ახლო აღმოსავლეთი კვლავ აფეთქებად საშიში რეგიონად რჩება. აქ თავმოყრილია უამრავი სტრატეგიული პუნქტი, სამი კონტინენტის თავშესაყარი და ნავთობის დიდძალი მარაგი.

დასავლეთ ევროპა და შეერთებული შტატები რეგიონში ნავთობის დიდძალი მარაგის გამო ძალიან არიან დაინტერესებულნი, რომ აქ მათი დამჯერი მთავრობები იყოს. ვინც ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფარვატერში არ ჩაჯდება და არაბული ნავთობის მონოპოლიზაციის მოინდომებს, მას სადამ ჰუსეინივით დასჯიან. ამავე დროს ვაშინგტონი მისდამი მორჩილ არაბულ მთავრობებს, ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებს. ამერიკელებისათვის ისრაელის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რადგან კონგრესის 70 პროცენტი ისრაელის მომხრეა, ამავე დროს ამერიკის ეკონომიკის 53 პროცენტი ებრაული წარმოშობის პირების ხელშია, ისინი კი გარკვეულ გავლენას, ახდენენ ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაზე.

ჯეიმს ბეიკერის დამსახურება ის არის, რომ მან აქამდე ფაქტიურად შეურიგებელი მოწინააღმდეგენი მოლაპარაკების მაგიდამდე მიიყვანა და აიძულა საბჭოთა კავშირიც დათანხმებოდა ისრაელის დიპლომატიურ ცნობაზე.

სამშვიდობო კონფერენციას ძლიერი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, ესენია ისლამის ფუნდამენტალისტები, ისინი ისრაელის წინააღმდეგ გამუდმებით ახდენენ ტერორისტულ აქციებს, რაზეც ისრაელის ავიაცია პერიოდულად პასუხობს, მაგალითად კვირას ისრაელმა კვლავ დაადანაშაულა სირია ლიბანიდან მოწყობილი ტერორისტული აქციის მხარის დაჭერაში, რომლის დროსაც სამი ებრაელი ჯარისკაცი მოჰკლეს და განაცხადა, ამ საკითხს მადრიდის კონფერენციაზე გავიტანო. ეს ბოლო განცხადება კი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ბეიკერის ძალისხმევა შედეგს იძლევა, მითუმეტეს მასში მონაწილეობის სურვილი ისრაელის, ეგვიპტის, იორდანიის, სირიის გარდა მეთვალყურის სტატუსით ალჟირმა, ტუნისმა და ლიბიამაც გამოთქვეს.

ზურაბ სიხარულიძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

დაიწყო პრეზიდენტზე მოსალოდნელი თავდასხმის გამოძიება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშზე შესაძლო იყო თავდასხმა. ამგვარი სენსაციური განცხადება გააკეთეს სამშაბათს ლოს-ანჯელესში სამხრეთ კალიფორნიის ვენტურის ოლქის პოლიციის წარმომადგენლებმა. მათ თქვეს, რომ გასულ კვირას დააპატიმრეს ქალაქ ოქსნარდის მცხოვრები ვინმე თომას უარდი, გაჩხრეკისას მის სახლში პოლიციამ იპოვა და ჩამოართვა იარაღის და ვაზნების დიდი არსენალი, მათ შორის 12 ავტომატური შაშხანა, სანშობები, ხელყუმბარები და 27 ათასი ვაზნა.

პოლიციის მიერ საიდუმლო ინფორმატორისაგან მიღებული ცნობების თანახმად უარდს განზრახული ჰქონდა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მოკვლა. 4 ნოემბერს ლოს-ანჯელესიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 მილზე მდებარე სიმი-ვილში, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ბიბლიოთეკის გახსნის ცერემონიაზე მისი ჩამოსვლისას. ჯორჯ ბუშის და რეიგანის გარდა ცერემონიას უნდა დაესწროს ამერიკის სახელმწიფოს კიდევ სამი ყოფილი ხელმძღვანელი — ჯიმი კარტერი, ჯერალდ ფორდი და რიჩარდ ნიქსონი.

ჟურნალისტების კითხვას თუ რატომ სურდა უარდს სახელდობრ ბუშის მოკვლა, პრეზიდენტის დაცვის საიდუმლო სამსახურის პასუხისმგებელმა აგენტმა დალგ კარვერმა უპასუხა: „მხოლოდ იმიტო, რომ მას ამჟამად პრეზიდენტის პოსტი უკავია“. როგორც კარვერმა თქვა ეჭვმიტანილმა საიდუმლო სამსახურის ყურადღება მაშინ მიიპყრო, როცა მათ მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უარდი ბუშის მისამართით მუქარას გამოთქვამდა. დაპატიმრების დროს მან უარყო ეს. ჯერჯერობით უარდს წაყენებული აქვს მხოლოდ იარაღის უკანონო შენახვის ბრალდება. მიმდინარეობს ძიება. სათემო პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც ეტყობა უარდი არ იყო დაკავშირებული რომელიმე ძირგამომთხრელ ან გასამხედროებულ დაჯგუფებასთან

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲛᲬᲐᲛᲡ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ

ᲑᲔᲕᲠᲘ პოლიტიკოსები შეაფასებდნენ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნების, სოციალიზმის მშენებლობის თავდაუზოგავი მოღვაწის და ნოვატორ-კომუნისტის, ხოლო ამჟამად მსოფლიოში ცნობილი „დემოკრატის“ — ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუს, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზეთ „ტრუდში“ (1991 წ. 22 ოქტომბერს), მე, როგორც ერთ ჩვეულებრივ მოკვდავს, მინდა ჩემი პირადი მოსაზრება გამოვთქვა ამ წერილზე და მის ავტორზე.

არა მგონია ნებისმიერი ქართველისათვის ბ-ნი ედუარდის აზრები, „სევდა“ საქართველოზე და განსაკუთრებით მისი „წუხილი“ საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო ყოველგვარი შესწორების გარეშე მისაღები იყოს.

ვკითხოთ ბ-ნ ედუარდს: რომელ ქვეყანას წარმოადგენს იგი? საბჭოთა კავშირი ფაქტობრივად აღარ არსებობს და არც ახალი ევროაზიული კავშირი ჩამოყალიბებულა. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, ამჟამად ბ-ნი ედუარდი თავკაცობს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაციის ლიტვის რესპუბლიკასთან მომავალ მოლაპარაკებაში. წარმოვიდგინოთ მეგობრები: ერთი მხრივ, თავისუფლებისმოყვარე ლიტვა, საქართველოს დარი პატარა ქვეყანა, რომელიც ეს-ეს არის ძლივს დაუსხლტა ხელიდან ურჩხულს (სსრკ-ს). მეორე მხრივ, გიგანტური - „ბოროტების იმპერია“, „ძლევამოსილი საბჭოეთი“ და მისი წარმომადგენელი — ედუარდ შევარდნაძე.

ვეკითხებით ბ-ნ ედუარდს: ნამიბიის განთავისუფლებას და გაეროს წევრად გახდომას რომ ულოცავდით, მაშინ ფიქრობდით, რომ საბჭოეთი ლიტვასთან მოლაპარაკებას დაიწყებდა? საქართველოსთან მოლაპარაკების დროს რომელი დელეგაციის თავკაცობას აპირებთ, ბ-ნო ედუარდ?

თქვენ ბრძანებთ, „ქვეყნის ბედი განსაცდელშიაო“ (ასე ვთარგმნე „на карту поставлена судьба страны“—სტატიის სათაური). რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი? რასაკვირველია, არა საქართველოზე. ბ-ნი ედუარდი ხშირად ხმარობს „ჩვენ“ (ე. ი. სსრკ), „ჩვენს შორის ურთიერთობები“ (ე. ი. სსრკ-ს და ლიტვას შორის), „ჩვენ არ ვიქნებით კეთილი მეზობლები“ (ე. ი. სსრკ და ლიტვა) და ა. შ. მაგრამ როგორც კი იმპერიის არმიაზე მიდგება საქმე, მაშინვე შემოაქვს ტერმინი „საბჭოთა არმია“ (და არა „ჩვენი არმია“!).

სავსებით გასაგებია, როდესაც არმიაზე მიდგება საქმე, დამსჯელ არმიაზე, ოკუპანტებზე, მაშინ, რასაკვირველია, უხერხულია „დემოკრატისთვის“ თქვას: „ჩვენი არმია“.

არც ის არის გასაკვირი, რომ ბ-ნი ედუარდის სამუშაო ოთახის მოსაცდელში კორესპონდენტი ხვდება „საქართველოდან წარგზავნილ“ ანონიმურ დელეგაციას. მე მგონი, ცხადია ისიც, თუ რა ინსტრუქტაჟს ჩაუტარებს „მეზობელი“ ქვეყნის დელეგაციას საბჭოეთის სახელმწიფო დელეგაციის მეთაური და სსრკ პრეზიდენტთან არსებული პოლიტიკური კონსულტაციური საბჭოს წევრი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, როგორც ის თვითონ ამბობს, „უკარნახოს, ურჩიოს, გაუწიოს კონსულტაცია, მისცეს რეკომენდაცია“... სსრკ პრეზიდენტს.

კორესპონდენტი ეკითხება ბ-ნ ედუარდს:

— „ედუარდ ამბროსიევიჩ, არ შემიძლია არ გკითხოთ დამატებით სხვაზეც, ახლახან თქვენს მოსაცდელში შევხვდი საქართველოდან წარმოგზავნილ დელეგაციას. ვიცი, რომ თქვენ დღენიადაგ თვალყურს ადევნებთ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს. როგორ შეაფასებდით მათ?“

რომ არ დამახინჯდეს ბ-ნი ედუარდის პოზიცია, მოვიყვანოთ სრულად პასუხი, შემდეგ კი რიგითი მოქალაქის პოზიციიდან გამომდინარე, თავს ნებას მივცემ მცირე კომენტარი გავუკეთო. პასუხი ასეთია:

„საქართველო — ეს ჩემი ტკივილია, არა მარტო იქ მცხოვრები ნათესავების გამო, რომელთა ბედს მე განვიცდი. სამშობლო სამშობლოა; მე ფესვებით, ბედით ვარ დაკავშირებული ამ მიწა-წყალთან. ახლა იქ ხდება ყველაზე შემზარავი რამ: მე ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის როგორღაც მოგვარება, თუმც, უთუოდ, დაღვრილი სისხლის დავიწყება შეუძლებელია. სამას კაცზე მეტი დაიღუპა სამხრეთ ოსეთში მომხდარ შეტაკებებში. ეს შემაძრწუნებელია. მაგრამ ამჟამად ხდება გაცილებით უფრო დრამატული რამ: თვით ქართველი ერი გაიხლიჩა, დადგა ბარიკადების ორ მხარეს.

უთუოდ, ცდებიან ისინი, ვინც გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს ავანტიურისტთა და ექსტრემისტთა მცირე ჯგუფს უწოდებს. ალბათ, ასეთებიც არიან, მაგრამ მთლიანობაში ოპოზიცია აერთიანებს სტუდენტებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, — ეს ხალხი ცნობილია ქვეყანაში, მსოფლიოში. ბევრ მათგანს პირადად ვიცნობ. ასეთ ხალხს არ შეიძლება არ გაუწიო ანგარიში. ამის უფლება არა აქვს არც ერთ ხელმძღვანელს. თუ სახელმწიფოს მეთაურს სურს მართლაც ააშენოს დემოკრატიული საზოგადოება, უნდა აღიაროს მასში ოპოზიციის არსებობა. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ მისცემენ უფლებას ასე მოეპყრან სხვაგვარად მოაზროვნეებს. შესაძლო იყო კონფლიქტის დასაწყისშივე ურთიერთპატივისცემის პირობებში არ დაშვებულიყო კონფრონტაცია. ეს რაღა დემოკრატიაა, თუ იარაღს იყენებს თავისი ხალხის წინააღმდეგ? ქართველებმა დაღვარეს ქართველთა სისხლი. ეს ჩამოურეცხავი ლაქაა.

გასაგებია, რომ ქართული დემოკრატიული სახელმწიფო მხოლოდ ახლა ყალიბდება, ამ ძნელ გზაზე გარდაუვალია შეცდომები, მაგრამ არის ზღვარი, რომლის გადალახვა არ შეიძლება

და მაინც, ვიმედოვნებ, რომ ჩემი რესპუბლიკა გახდება ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა, სადაც პატივცემული იქნება ყველა მოქალაქის უფლება განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა და ეროვნებისა. უნდა გადავიტანოთ ამჟამინდელი ტრაგიკული დღეები“

აი, ბატონებო, ასეთი მოსაზრებისაა ე. შევარდნაძე საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. „ჩემი რესპუბლიკაო“ — უსაფუძვლოდ აცხადებს სსრკ პრეზიდენტის პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრი და სსრკ დელეგაციის ხელმძღვანელი ლიტვასთან მოლაპარაკებაში. თურმე ნუ იტყვით და, „საქართველო მისი ტკივილი ყოფილა“, ხოლო საზრუნავი — „განსაცდელში მყოფი ქვეყანა“ — სსრკ. რას იზამთ, ბ-ნო ედუარდ, მართლაც, „სამშობლო სამშობლოა“. იქ „ყველაზე შემზარავი ამბებიაო“— იმპერიის მსახურს „სამხრეთ ოსეთში“ შეტაკებების მსხვერპლის გამო გული აქვს დათუთქული. ბ-ნო ედუარდ! არ არსებობს ქართველი, რომელსაც გულს არ უკლავდეს შიდა ქართლში (და არა „სამხრეთ ოსეთში“, როგორც თქვენ მოიხსენიებთ) იმპერიის მიერ, სსრკ-ს მიერ, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, ინსპირირებული საომარი მოქმედება.სახაროვ-ბონერის დუეტის მიერ შექმნილი საქართველოს „იმიჯი“, როგორც მცირე იმპერიისა, რომელიც თრგუნავს ეროვნულ უმცირესობებს და ლამის მათ გენოციდს აწყობს, ზოგიერთი ვაი-ქართველის მიერ დადასტურებული, მტკიცედ შედის ევროპელისა და ამერიკელის შეგნებაში.

ეს უპირველეს ყოვლისა საბჭოთა პოლიტიკოსებისა და ვაიპატრიოტების მოღვაწეობის შედეგია. საკითხავია, ნუთუ ერთხელ მაინც არ გიფიქრიათ, ბ-ნო ედუარდ, საქვეყნოდ გაგეცხადებინათ სიმართლე იმის შესახებ, რომ არ არსებობს „სამხრეთ ოსეთი“ — ეს ბოლშევიკების მიერ ძალით შეთითხნილი ოლქი, რომ „ორი ოსეთის“ შეერთება რუსეთის შემადგენლობაში პირდაპირი ინტერვენციაა, რომ საქართველო და მისი ხალხი ცამდე მართალია ამ ე. წ. „ეთნოკონფლიქტში“. ნუთუ ერთხელ მაინც არ შეიძლებოდა ამერიკის რომელიმე უნივერსიტეტში, თქვენი გახმაურებული ვოიაჟის დროს, გეღიარებინათ ის ფაქტი, თუ რა დამანგრეველი იყო ბოლშევიკ-კომუნისტების 70-წლიანი პარპაში საქართველოში, რა უსამართლო და ამორალური იყო მათი მოქმედება, კერძოდ, ისტორიული შიდა ქართლის ოკუპაცია, ქართველების დევნა საკუთარ მიწა-წყალზე, ხოლო ახლა სახეზეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. განა ქართველთა ტანჯვა არ შეიძლებოდა თქვენი ტკივილის მთავარი მიზეზი ყოფილიყო?

ძალიან სცოდავს ბ-ნი სსრკ პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრი, როდესაც ბრძანებს „ქართველი ერი („ნაცია“) გაიხლიჩაო“. ჩვენგან შორს ბრძანდებით, ბ-ნო ედუარდ! ძალიან შორს! ამიტომაც ვერა ხედავთ, რომ ბარიკადების იმ მხარეს, რომელიც თქვენს თანამოაზრე ყოფილ პარტოკრატებს და „დემოკრატებს“ უკავიათ, ქართველების შეუდარებლად უფრო მცირე ნაწილია: არავინ ამბობს, რომ ოპოზიცია არ უნდა იმსახურებდეს პატივისცემას. მაგრამ მას, ოპოზიციას, უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კონსტრუქციის გაკეთილშობილების და არა მისი ძალმომრეობით გადაკეთების მისია. უკლებლივ ყველა ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში (რომლისკენაც ბ-ნი ედუარდისა და ჩვენი რწმენითაც საქართველო უნდა ისწრაფოდეს) ხალხის არჩეული ხელისუფლების კანონები უზენაესია. სხვაგვარად დემოკრატია ვერ გაიმარჯვებს. სწორედ ეს მთავარი მომენტი დაავიწყდათ, ჩემი აზრით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ოპოზიციონერებს. მათი ერთ-ერთი მთავარი ლოგიკური განსჯა-ლოზუნგი ასეთი იყო: ჯერ „დემოკრატია“, ხოლო შემდეგ „თავისუფლება“. უაზროა კამათი „თავისუფლებისა“ და „დემოკრატიის“ პრიორიტეტებზე. ისინი ერთად იკითხება, თუმცა ცხადია, რომ „თავისუფლებას“ ადგილს ვერ შევუცვლით. ჩემთვის ცხადია, რომ „დემოკრატიის“ პრიორიტეტი, ისევე, როგორც „დიად საბჭოეთში“ ე. წ. დემოკრატიული რეფორმების მოძრაობა იმპერიას სჭირდება ერების განმეორებითი დაპყრობისათვის, ქაოსის შესაქმნელად, საზოგადოების პოლარიზებისათვის, ხოლო საბოლოო ჯამში, სუპერპარტიის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შემდგომში სახეშეცვლილ კომუნისტურ დიქტატს განახორციელებს (თუმც, თვით ე. შევარდნაძე აღნიშნულ ინტერვიუში ამ შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფს).

ახლა კი ნება მიბოძეთ ერთ საკითხსაც შევეხო. ინტერვიუში ხაზგასმულია, რომ ოპოზიციას განეკუთვნებიან „სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი“. ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ ჩამოაშორეს „ინტელიგენციას“ (თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ტერმინის წმინდა რუსულ გაგებას) „სტუდენტობა“, „მეცნიერების“ და „კულტურის მოღვაწენი“. ალბათ იმიტომ, რომ უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო სპექტრი ოპოზიციონერთა რიგებისა. მეორე, აშკარად ჩანს მკითხველის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რადგან არ არის მინიშნებული, თუ ინტელიგენციის რა ნაწილია „ოპოზიციონერთა“ რიგებში (რაც აბსოლუტურად გადამწყვეტი ფაქტორია). ხოლო „ხარისხი“ ამ ნაწილისა საკამათოა და მნიშვნელოვნად არაერთგვაროვანი: ნამდვილად, ობიექტურად ბრწყინვალე ერთეულებიდან დაწყებული და კომუნისტური დიქტატურის პერიოდში გაუმართლებლად დაფასებულებით გათავებული. აქ მხედველობაში გვაქვს ბ-ნი ედუარდის რემარკა: „ეს ხალხი ცნობილია ქვეყანაში, ცნობილია მსოფლიოში. ბევრ მათგანს პირადად ვიცნობ. ასეთ ხალხს არ შეიძლება არ გაუწიო ანგარიში. ამის უფლება არა აქვს არც ერთ ხელმძღვანელს“.

სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ძალადობისკენ მოწოდება, დამეთანხმებით, არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი ჰუმანისტებისა და ინტელექტუალების თვისება; ისევე როგორც ამორალურია და ერის საბოლოო მოსპობის ტოლფასია ეროვნული საგანძურის — უნივერსიტეტის მძევლად აყვანის ცდაც ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფის მიერ. ვიმეორებ, დემოკრატიის გადარჩენა, ანუ „ხალხის მმართველობის“ დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ კანონის უზენაესობის მიღწევითა და მიღებით, მისი დაცვით.

საქართველოს სრული საერთაშორისო იზოლაცია, როგორც ინტელექტუალური, ასევე ეკონომიკური, ემსახურება ერთ მიზანს: „დემოკრატიული“ იმპერიის მიერ საქართველოს განმეორებით ოკუპაციას: ქართული, ყოფილი კომუნისტური ელიტა წარმატებით ემსახურება ამ მიზანს.

მე კი მწამს ერის სიბრძნე.

მწამს, რომ სალოცავად მიმავალი ადამიანი ურჩევნია ქართველ ერს, კრემლის კართან ატუზულ საბჭოთა მოქალაქეს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მკითხველისთვის ცნობილია, ჩვენი გაზეთის 19 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორებმაც გარკვეული ბრალდებები წაუყენეს მოქალაქე გიორგი ხაინდრავას. ამის თაობაზე განმარტება ვთხოვეთ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ბატონ **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔᲡ**:

— ბრალის ხარისხი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა მასალები მოგროვდება ძიებისას და საგაზეთო პუბლიკაცია ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ბრალეულობის განსაზღვრაზე.

ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ № 1 ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲘᲖᲝᲚᲐᲢᲝᲠᲘᲓᲐᲜ

25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ დილიდან დედაქალაქში გავრცელდა ხმა ორთაჭალის ციხეში მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის შესახებ. იყო აზრი, რომ ამ შემთხვევას მოჰყვა მძიმე შედეგები, კერძოდ, ადამიანთა მსხვერპლი. როგორც ადგილზე მისულ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსის მოადგილემ ვალერიან გოგოლაშვილმა, 25 ოქტომბერს 2 საათსა და 40 წუთზე თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში პატიმართა ნაწილი შეეცადა გაქცევას. მათ მძევლებად აიყვანეს ციხის თანამშრომლები, ფაქტობრივად მთელი ცვლა, გამოამტვრიეს საკნებისა და კორპუსების კარები და გამოვიდნენ იზოლატორის ტერიტორიაზე. ციხის ადმინისტრაციამ რამდენჯერმე მიმართა მათ მოწოდებით, დაბრუნებულიყვნენ საკნებში, მაგრამ ამაოდ. ისინი მოითხოვდნენ ქუჩაში გასასვლელი კარის გაღებას და პატიმართა გათავისუფლებას, რასაც ციხის ადმინისტრაცია ბუნებრივია, უარით შეხვდა. შემდეგ პატიმრები შეეცადნენ ციხის ტერიტორიაზე მდგომი სატვირთო ავტომანქანის მეშვეობით ქუჩაში გასასვლელი კარის განგრევას, რასაც დაცვის მხრიდან გამაფრთხილებელი სროლა მოჰყვა. ამავე დროს, რამდენიმე ათეულმა პატიმარმა შეაღწია სამსახურეობრივ გვირაბში, გაანგრია კედელი, ზოგიერთმა გაქცევაც მოახერხა. მათი რაოდენობა ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ამ ვითარებამ თითქმის ოთხ საათს გასტანა. შედეგად დაჭრილია 22 კაცი, მათგან სამი თანამშრომელი. ყველა დაშავებული, მათ შორის ორი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საავადმყოფოში მოთავსებული. ციხის ადმინისტრაციამ მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის ყველა ზომა მიიღო. პატიმრები დაბრუნდნენ საკნებში. მიმდინარეობს სამსახურებრივი გამოძიება.

კორესპონდენტის კითხვაზე, აქვთ თუ არა რაიმე კავშირი მომხდარ ინციდენტთან იზოლატორში მყოფ გიორგი ჭანტურიასა და გიორგი ხაინდრავას, ბატონმა ვალერიან გოგოლაშვილმა განაცხადა, რომ ეგრეთ წოდებული პოლიტიკური პატიმრები, არსებული ინფორმაციის მიხედვით, ამ საქმეში გარეული არ არიან. ამასთან, არც ერთი მათგანი ამ შემთხვევის შედეგად არ დაშავებულა.

ᲛᲐᲘᲐ ᲐᲚᲣᲓᲐᲣᲠᲘ,
საქინფორმის კორ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘᲐ

ᲙᲕᲚᲐᲕ უსიამოვნო ცნობა მოვიდა მანილადან. მაია ჩიბურდანიძემ ისევ წააგო პარტია პრეტენდენტ სიე ჯუნთან და 13 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 7,5:5,5 ჩინელი სტუდენტის სასარგებლოდ. დარჩენილ სამ პარტიაში ქართველი დიდოსტატი ორჯერ თეთრებით ითამაშებს, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საკმარისი კომპენსაცია როდია მძიმე მდგომარეობის ხსნისათვის, მინიმუმ 2,5 ქულის მოგროვებისათვის. მით უმეტეს, რომ ჩინელი მოჭადრაკე აღმავლობით თამაშობს, მან კარგად ისარგებლა მატჩის შუა ნაწილში მსოფლიო ჩემპიონის უჩვეულო პასიურობით და თამამად შეუტია. მაშ ასე, საჭადრაკო ოლიმპოზე ქართველი დედოფლების მბრძანებლობა სერიოზულ საფრთხეშია.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ᲘᲩᲥᲐᲠᲔᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ!

თავისუფალ ფერმერთა აგრარულ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი, რომელსაც რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემის უფლება, აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე) დღისა და საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილება):

1. აგრონომია.

2. ვეტერინარია.

3. კვების პროდუქტების წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგია.

4. მეღვინეობა.

5. ისტორია.

6. ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და 35 წლის ასაკამდე უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი.

დღისა და საღამოს განყოფილებაზე გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. აგრონომიის, ვეტერინარიის, კვების პროდუქტების წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგიისა და მეღვინეობის სპეციალობებზე: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); ბ) ბიოლოგია (ზეპირი).

2. ისტორიის და ფილოლოგიის სპეციალობებზე: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); ბ) საქართველოს ისტორია.

გამოცდების დროს აბიტურიენტთა შეფასება მოხდება 10 ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით. თანაბარ ქულათა შემთხვევაში პირველ რიგში ჩაირიცხებიან:

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დემობილიზებულნი; პირველ საგამოცდო საგანში უფრო მაღალი შეფასების მქონე აბიტურიენტები; შედარებით ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის მქონე აბიტურიენტები; ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო განათლების დოკუმენტში მაღალი ჯამური ქულა აქვთ იმ საგნებში, რომლებსაც აბარებენ მოცემულ სპეციალობაზე.

სწავლების ვადა 5 წელია. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარსამართავად ინსტიტუტში მოწვეული არიან თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ლექციებს წაიკითხავენ აგრეთვე საზღვარგარეთელი ცნობილი სპეციალისტები. სწავლის პერიოდში ინსტიტუტის სტუდენტები გაიგზავნებიან თბილისის (ხოლო განსაკუთრებული უნარის მქონე წარჩინებული სტუდენტები — საზღვარგარეთის) სასწავლო ცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შემდგომი დასპეციალებისათვის.

სტუდენტები სპეციალური საგნების გარდა სწავლების მთელ პერიოდში შეისწავლიან 1 ან 2 უცხო ენას, ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის, მარკეტინგის და საერთო ბიზნესის საფუძვლებს, ფართოდ იქნება გამოყენებული თანამედროვე სასწავლო ტექნიკა და მოწყობილობები.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სტუდენტის სწავლის საფასური ყოველწლიურად როგორც დღის, ასევე საღამოს განყოფილებაზე 5000 მანეთია. საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე საწარმოების, ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით.

სწავლის საფასურს სტუდენტები გადაიხდიან ჩარიცხვიდან ერთი კვირის ვადაში.

დღის სწავლების წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიებს.

ინსტიტუტში შემსვლელმა აბიტურიენტებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

1. საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
5. 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4);

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტებმა წინასწარ უნდა გადაიხადონ 80 მანეთი.

საბუთები მიიღება 15 ნოემბრამდე (ჩათვლით), ყოველდღე გარდა კვირისა, 10 საათიდან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 16 ნოემბრიდან.

მისამართი: სიღნაღის რაიონი, წნორის ზოოვეტტექნიკუმის შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 32. ტელეფონები: 3-31-31; 3-49-95.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ საშუალებათა მფლობელებს შევახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ტექნიკური დათვალიერების ვადა მთავრდება 1 ნოემბერს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წლიური სატრანსპორტო გადასახადი საქართველოს ბიუჯეტში რჩება, ავტოტრანსპორტის 30% დღემდე არაა წარდგენილი ტექნიკურ დათვალიერებაზე. წლის ბოლომდე დარჩენილ მცირე დროში კი გართულდება ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ ტექნიკური დათვალიერების გარეშე დარჩენილი ავტოტრანსპორტი იძულების წესით იქნება წარდგენილი სახავტოინსპექციაში და მათ მფლობელებს დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის შსს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველო.

ᲡᲐᲑᲠᲝᲙᲔᲠᲝ ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲜᲐᲠᲘᲧᲐᲚᲐ“

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ:
ᲑᲐᲠᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲜᲘ.
ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ..
ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ.
ᲤᲘᲠᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ.
პრიორიტეტი შემკვეთის პირობებს ეძლევა!
„ᲜᲐᲠᲘᲧᲐᲚᲐ“ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ, ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲡ.
საბროკერო ფირმა „ნარიყალა“ რეგისტრირებულია „კავკასიის ბირჟაზე“.
მისამართი: იერუსალიმის ქ. № 8/9..
ტელ. 98-88-91; 98-88-27.
სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“.

ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲛᲘ-ᲛᲘ-ᲜᲝ“

NARIKALA ᲜᲐᲠᲘᲧᲐᲚᲐ

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ სამუშაოდ იწვევს მანქანა-დანადგარების მექანიკოს-გამმართველებს, მღებავებს და გაზ-ელექტრო შემდუღებლებს. შრომის ანაზღაურება მაღალია.

დამატებით ცნობებისათვის მიმართეთ კადრების განყოფილებას: მერაბ კოსტავას 14. ტელ. 93-95-48.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲡ:

1. „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ“ ᲔᲥᲕᲡᲢᲝᲛᲔᲣᲚᲖᲔ.

ეს არის უნიკალური გამოცემა, რომელიც პირველად გამოდის ქართულ ენაზე და მოიცავს ხელოვნების ყველა ძირითად სტილსა და მიმართულებას ანტიკური ხანიდან დღემდე. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად ეპოქების მიხედვით და დაყოფილია ქვესათაურებად — „არქიტექტურა“, „ქანდაკება“, „ფერწერა“, „მოდა და ავეჯი“... ტომებში შესულია მსოფლიოს უდიდესი მხატვრების, მოქანდაკეების, ხუროთმოძღვრების ბიოგრაფიები.

ექვსივე ტომი უხვადაა ილუსტრირებული.

2. „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲘᲡ“ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲢᲝᲛᲔᲣᲚᲖᲔ.

გამოცემაში შესულია მსოფლიო დრამატურგიის ყველაზე საუკეთესო ნიმუშები, სხვადასხვა მიმართულების, სტილისა და ჟანრის პიესები ანტიკური ეპოქიდან დღემდე. ბევრი მათგანი პირველად იბეჭდება ქართულ ენაზე. თხუთმეტტომეული საშუალებას მისცემს მკითხველს გაეცნოს **სოფოკლეს, ევრიპიდეს, შექსპირის, შილერის, ლოპე დე ვეგას, მოლიერის, ბომარშეს,** აგრეთვე **ოსკარ უაილდის, შოუს, ბრეხტის, დე ფილიპოს** და სხვათა ნაწარმოებებს.

3. „ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲖᲔ.

წიგნებში მოტანილი მასალა ეყრდნობა უკანასკნელ მეცნიერულ აღმოჩენებს. პოპულარულად არის გადმოცემული ანტიკური პერიოდის **არქიტექტურის, ქანდაკების, მხატვრობისა და გამოყენებითი ხელოვნების** განვითარების გზები. I წიგნი იწყება ეგეოსური ცივილიზაციის ისტორიით. მასში მოთხრობილია **ძველი საბერძნეთის ხელოვნებაზე, II წიგნი ძველი რომის ხელოვნებას** ეძღვნება. წიგნს ერთვის ტერმინთა ლექსიკონი, სინქრონული ცხრილი, მოკლე ცნობარი მოქანდაკეთა, მხატვართა და არქიტექტორთა შესახებ.

ორივე ტომი უხვადაა ილუსტრირებული.

ხელმოწერების გაფორმება შეიძლება მაღაზია **„ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲨᲘ“** (რუსთაველის პროსპექტი № 28), მაღაზია **„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲨᲘ“** (რუსთაველის პროსპექტი № 37), საფირმო მაღაზია **„ᲡᲠᲔᲡᲙᲐᲨᲘ“** (დ. აღმაშენებლის გამზირი № 179), ხელმოწერის სპეციალიზირებულ მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 44).

წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივებს, როგორც თბილისიდან ასევე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რეგიონებიდან, ხელმოწერა შეუძლიათ გააფორმონ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით.

იჩქარეთ ხელმოწერის გაფორმება, ტირაჟი ლიმიტირებულია!

გამომცემლობა „ხელოვნება“

ᲨᲐᲜᲡᲘ ᲒᲐᲒᲘᲫᲕᲘᲠᲓᲐᲗ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲠᲟᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ უნივერსალურ ბირჟის საბროკერო ადგილებსა და აქციებზე მზარდმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ახალი ფასების წარმოშობა.

აქციის ღირებულებაა: 1 000 000 მან. ან 80 000 ამერიკული დოლარი საბროკერო ადგილის ღირებულებაა:
1 წლით — 200000 მან.
2 წლით — 350000 მან.
მუდმივი სარგებლობით 800000 მან. ან 50000 ამერიკული დოლარი

თბილისის უნივერსალური ბირჟის საბროკერო ადგილი მოგცემთ საშუალებას:
გახსნათ საბროკერო ფირმა
შეიძინოთ და გაყიდოთ ნებისმიერი საქონელი მაქსიმალური მოგებით
იქონიოთ ინფორმაცია მსხვილი ბირჟებიდან საქონლის მიწოდების, მოთხოვნისა და ფასების შესახებ
მიიღოთ თქვენი კომერციული საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა
დაამყაროთ კავშირები ბიზნესმენებთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
380019 ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118
საქართველოს სამეცნიერო და კომერციული გამოფენების ეროვნული ცენტრი,
პავილიონი №5, თბილისის უნივერსალური ბირჟა,
ტელ.: 35-14-69, 35-44-21.

თბილისის უნივერსალური ბირჟის საბროკერო ადგილი საუკეთესო შანსია, რომელიც იყიდება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ!

„ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ“ — ᲝᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲔᲠᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ:

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲐ:

„ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ“ — ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ IBM — ᲨᲔᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

თქვენ აღარ დაგჭირდებათ დახარჯოთ დრო და სახსრები ორი სხვადასხვა პროგრამის შესაძენად — კომპლექსი „პერსონა“ (ვერსია 1.1) პირველად იძლევა საშუალებას ერთდროულად გადაიჭრას ორივე ამოცანა.

უმცირეს დროში სრულდება ყველა გასაანგარიშებელი და ანალიტიკური ფუნქციები. შეცდომები გამორიცხულია! თანაბრად საიმედოდ მუშაობს ქართულ და რუსულ ენებზე. მისაწვდომია ყველასათვის, ვისაც მინიმალური კომპიუტერული განათლება გააჩნია.

მომსახურება — მსოფლიო სტანდარტების მიხედვით:

— პერსონალის განსწავლა;
— პროგრამის ადაპტაცია შემკვეთის მოთხოვნებთან;
— სრული თანხლება 2 წლის განმავლობაში.
— ახალი ვერსიების მიწოდება შეღავათიან, საშუალო საბაზროზე დაბალ ფასებში.

საკონტაქტო ტელ. (8832) 98-43-10.
ტელეფაქსი (883.2) 98-26-81.

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲣᲜᲘᲙᲝᲛᲘ“

ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲛᲘ-ᲛᲘ-ᲜᲝ“

ᲣᲜᲘᲙᲝᲛᲘ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

თუ გსურთ, რომ 1992 წელს ყოველთვიურად
გეწვიოთ შინ სასურველი მეგობარი,
ნუ დაიზარებთ და გამოიწერეთ
მხოლოდ თქვენთვის განკუთვნილი ფერადი,
ილუსტრირებული ჟურნალი

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

მომავალი წლიდან ჟურნალი 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ
ეღირება, ასე რომ, წლიური ხელმოწერა სულ
რაღაც 12 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ დაგიჯდებათ.
იჩქარეთ, კიდევ დაგრჩათ დრო საფოსტო
განყოფილებებში მისასვლელად.

„ნაკადულის“ ინდექსია: **76157**

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ აქციონერებო! სს „კავკასიის ბირჟის“ გამგეობა შეგახსენებთ, რომ მიმდინარეობს თქვენს მიერ შეძენილი აქციების ღირებულების დაფარვა. დარჩენილი თანხა შეგიძლიათ შემოიტანოთ „კავკასიის ბირჟის“ სალაროში ან ჩარიცხოთ ჩვენს ანგარიშზე ა. წ. 1 ნოემბრამდე.

ჩვენი რეკვიზიტებია: სააქციო-კომერციული ბანკი „კავკასიის ბანკი“, ა/ა 467009, საკორესპონდენტო ანგარიში№ 000161828 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში., მფო № 521006.

სს „კავკასიის ბირჟის“ გამგეობა

Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ — XX“

აცხადებს მე-5-11 კლასის მოსწავლეთა, აბიტურიენტთა და პედაგოგთა მიღებას მათემატიკის, ფიზიკისა და ინფორმატიკის დაუსწრებელ კურსებზე.

მოსწავლეთათვის გათვალისწინებული პროგრამა ხელს შეუწყობს არასტანდარტული აზროვნების და ლოგიკური მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

უფროსკლასელებს და აბიტურიენტებს მიეცემათ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებზე შემოთავაზებული საკითხების დაწვრილებითი ანალიზის საშუალება.

პედაგოგები მიიღებენ მეთოდურ მითითებებს ინფორმატიკის სწავლებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

სწავლება იწარმოებს მიმოწერით.

საუკეთესო მსმენელთათვის მოეწყობა რესპუბლიკური და საერთაშორისო სკოლა-სემინარები.

სწავლის ღირებულება ერთი წლით:
მე-6-8 კლასი — **100 მან.**
მე-9-11 კლასი — **150 მან.**
აბიტურიენტებისა და პედაგოგებისათვის — **200 მან.**
მე-5 კლასელებისათვის მეცადინეობა **უფასოა.**

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲝ! თუ თქვენ ითანამშრომლებთ ჩვენთან და დაგვეხმარებით სათანადო კონტინგენტის შერჩევაში, — განათლება — XX“ უფასოდ მოგაწვდით სხვადასხვა სახის ლიტერატურას, მეთოდურ მითითებებს, წიგნებს, ჟურნალებს, სასწავლო პროგრამებს კომპიუტერული კლასებისათვის, მიგიწვევთ რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეკრება-სემინარებში მონაწილეობისათვის, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, თუ თქვენ გადაწყვეტთ ჩვენთან მეცადინეობას ან თანამშრომლობას, გთხოვთ მოგვწეროთ, რის შემდეგაც მიიღებთ დაწვრილებით ინფორმაციას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: 380002, დ. უზნაძის ქ. №68; ტელ. 96-61-94; 88-08-14.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲛᲐᲠᲢᲘ“

მთავარი რედაქტორი ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲐᲑᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-86;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ [illegible]